პროლეტარიელებო, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 24 იანვარი, 1952 წ. № 21 (9181). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

გავაძლიეროთ ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).

ზუსტი ხელსაწყოები კომუნიზმის დიად მშენებლობებს (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება — პოლიტწრე ნაყოფიერად მუშაობს (მე-2 გვერდი).

საკოლმეურნეო კადრების დასახმარებლად — კოლმეურნეობის წლიური ანგარიში (მე-2 გვერდი).

კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება (მე-2 გვერდი).

გავაუმჯობესოთ შემნახველი სალაროების მუშაობა (მე-2 გვერდი).

ფილმი ცხოვრების სიმართლეზე (მე-3 გვერდი).

პასუხი შეკითხვაზე — [illegible] (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების — ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).

ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული პარტიის ეროვნულ კომიტეტში (მე-4 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

გავაძლიეროთ ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის

კომუნისტური მშენებლობის უდიდესი მოცანების წარმატებით განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური დაგროვების შემდგომ ზრდას, საწარმოთა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, თვითღირებულების გადამწყვეტელ შემცირებას. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირება აუცილებელია საწარმოების მუშაობის ხარისხის მაჩვენებელს, სახალხო მეურნეობაში დაგროვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ამასთან ერთად ეს წარმოადგენს ფასების შემცირების და, მაშასადამე, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას.

ჯერ კიდევ 1927 წელს კომკავშირის IV კავშირო კონფერენციაზე ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა:

„ძირითადი ხაზი, რომლითაც უნდა ავიდეს ჩვენი ინდუსტრია, ძირითადი ხაზი, რომელმაც უნდა განსაზღვროს ეს ყველა შემდგომი ნაბიჯი, — ეს არის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირების ხაზი, სამრეწველო საქონლის ასაღები ფასების სისტემატური შემცირების ხაზი. ეს არის ის შარაგზა, რომლითაც უნდა იაროს ჩვენმა ინდუსტრიამ, თუ მას სურს განვითარდეს, თუ მას სურს განმტკიცდეს, თუ მას სურს წინ გაუძღვეს სოფლის მეურნეობას, თუ მას სურს განმტკიცოს და განავითაროს ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის საფუძველი“.

ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების განუწყვეტელი შემცირებისათვის სამეურნეო მუშაკებისა და პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი საბრძოლო ამოცანაა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია წარმოების ტექნიკის ძირეული გუმჯობესება, საწარმოებში შრომის სწორი ორგანიზაცია და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღება, ყველა საწარმოსა და საამქროში სამეურნეო ანგარიშის მტკიცედ დანერგვა. 1952 წელს საბჭოთა ადამიანები ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მოწინავე ტექნიკის ათვისებისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის, მასობრივისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის, რათა მიღწეულ იქნას პროდუქციის შემდგომი გაიაფება.

საბჭოთა ადამიანების პატრიოტული ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს მოსკოვის ფაბრიკა „ბურევესტნიკის“ ნოვატორების მ. ლევჩენკოს და გ. მუხანოვის თაოსნობა თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ლიუბლინოელმა ნოვატორებმა ა. ჟანდაროვამ და ო. აგაფონოვამ მომავალ საფეხურზე აიყვანეს ეს შეუნიშნავი მოძრაობა იმით, რომ გააჩაღეს შეჯიბრება თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებისათვის. თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულება, პროდუქციის გაიაფების სხვა ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად, უზრუნველყოფს თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირებას ყველა საწარმოო ოპერაციაზე. ამ პატრიოტული მოძრაობის შემდგომი გაშლა-გაფართოება, წარმოების ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება, რაც მიზნად ისახავს თვითეული საწარმოო ოპერაციის შრომატევადობის შემცირებას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვას, თვითღირებულების შემცირებას, უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს წარმოადგენს.

მოწინავე საწარმოთა გამოცდილება გადაყოფს, რომ ჩვენს მრეწველობას აქვს დიდი რეზერვები მოპოვება პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, თვითღირებულების შემცირებისა და ენტაბელობის გადიდებისათვის. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში გასულ წელს მიღწეულ იქნა სხვადასხვა ხარისხის ამაღლება და პროდუქციის გაიაფება. 1950 წელთან შედარებით 1951 წელს პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 21,3 პროცენტით, რის შედეგად 11 თვეში ქარხანამ 1 მილიონ 332 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მიიღო. ამჟამად ქარხანაში უფრო მეტი ძალით არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, მუშაობის ჩქარისნული მეთოდების დანერგვისათვის.

ბევრ ფაბრიკა-ქარხანასთან ერთად, რომლებმაც მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს, მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან საწარმოები, რომლებსაც 1951 წელს არათუ არ შეუმცირებიათ პროდუქციის თვითღირებულება, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვნადაც კი გაადიდეს იგი. ეს საწარმოები შრომის არასწორი ორგანიზაციისა და მოწინავე ტექნიკის სუსტად გამოყენების შედეგად საგრძნობლად ჩამორჩებიან შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის გაიაფების დაგალებათა შესრულებაში, უშვებენ წუნს, ნედლეულისა და მასალების გადახარჯვას, სუსტად იბრძვიან უნაყოფო ხარჯების შემცირებისათვის.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გასული წლის დაგალება ვერ შეასრულა ბათუმის ფეხსაცმლის მე-4 ფაბრიკამ. შემცირების ნაცვლად აქ 2,5 პროცენტით გაადიდეს პროდუქციის თვითღირებულება. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია პროდუქციის ხარისხის გაუარესება. 1951 წელს პირველი ხარისხის პროდუქცია ნაცვლად 76-სა გამოშვებულ იქნა 67,9 პროცენტი. ფაბრიკის სამეურნეო ხელმძღვანელებმა და პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყვეს მუშათა კოლექტივის დარაზმვა წუნის აღმოფხვრისა და პროდუქციის გაიაფებისათვის.

ჯერ კიდევ არიან ისეთი სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მხოლოდ საწარმოს მუშაობის რაოდენობრივ მაჩვენებლებს და ივიწყებენ ბრძოლას ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებისათვის, ივიწყებენ იმას, რომ უსასტიკესად დაიცვან სახელმწიფოებრივი საგეგმო დისციპლინა. **საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო გეგმა კანონია და რომ თვითეული საწარმო ვალდებულია შეასრულოს იგი ყველა მაჩვენებლის მიხედვით, რომ სახელმწიფოს სჭირდება გეგმის არა ყოველგვარი შესრულება და გადაჭარბება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს სახალხო მეურნეობას მისთვის საჭირო პროდუქციით.**

გასულ წელს თბილისის კალინინის სახელობის ქარხანამ, ფეხსაცმლის 1-ლმა ფაბრიკამ, ზეთსახდელმა ქარხანამ და ზოგიერთმა სხვა საწარმომ საგრძნობი ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს პროდუქციის მნიშვნელოვანი გაძვირებით. ამ საწარმოთა ჩამორჩენის მიზეზების შესწავლა ცხადყოფს, რომ ძათი სამეურნეო ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან მასალების, ელექტროენერგიისა და სამბობის ხარჯვის შემცირებისათვის, არ უქმნიან მუშებს საჭირო პირობებს მაღალნაყოფიერი შრომისათვის, ნაკლებად ზრუნავენ წარმოებაში ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის.

ამოცანა ის არის, რომ ჩვენი მრეწველობის ყველა უმნიშვნელოვანესი რეზერვი, როგორიც არის: პირველხარისხოვანი ტექნიკის გამოყენებას სრულყოფა, მუშობის ჩქარისნული მეთოდებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელება, ტექნოლოგიური რეჟიმის გუმჯობესება და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება, უნაყოფო ხარჯების შემცირება, ყველგან და ყველაფერში უსასტიკესი ეკონომიის დაცვა, — მთელი ძალითა და სისრულით გამოვიყენოთ შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის გაიაფებისათვის. თვითეული საწარმოს სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები, მუშათა მთელი კოლექტივი ბოლშევიკურად უნდა მუშაობდნენ ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

რესპუბლიკის საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან უფრო მეტი ძალით გააჩაღონ ბრძოლა რენტაბელობისათვის, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, 1952 წელს ხარისხობრივ დაგალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ი. ი. ლენინის რჩეული ნაწარმოებნი მოლდავურ ენაზე

** КИШИНЕВИ,** 22 იანვარი. (საკდესი). მოლდავეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ მოლდავურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა ექვსტომეულის პირველი ტომი.

რუსული გამოცემიდან თარგმანი შესრულა მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალმა.

საბჭოთა კავშირში

★

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

22 იანვარს ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით გაიმართა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის პლენუმის სხდომა. განხილულ იქნა არქიტექტურული ნაწარმოებნი, რომლებიც წარმოდგენილია 1951 წლის სტალინური პრემიის მოსაპოვებლად.

საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ა. მორდვინოვმა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ა. ვლასოვმა, ვ. ზაბოლოტნიმ, ს. ჩერნიშევმა და სხვებმა. (საკდესი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში

18 იანვარს გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა. განხილულ იქნა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის პრემიების მინიჭების საკითხი.

ა. პ. კარპინსკის სახელობის პრემია მიენიჭათ ნავთის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პროფესორს მ. ფ. დვალს და გეოლოგიის მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ნ. ა. შტრეისს მთამადნეულის გეოლოგიაში მათი ნაშრომებისათვის.

ი. მ. გუბკინის სახელობის პრემიით აღინიშნა ე. მ. სმეხოვისა და მ. ი. ვარენცოვის ნაშრომები. პროფესორი ე. მ. სმეხოვი ოცი წლის განმავლობაში აწარმოებდა კუნძულ სახალინის გეოლოგიურ გამოკვლევას და ამ თემაზე დაწერა დიდი მონოგრაფია. პროფესორმა მ. ი. ვარენცოვმა დაწერა მონოგრაფია მდინარე მტკვრის ხეობის გეოლოგიური აღნაგობის შესახებ.

ფ. პ. სავარენსკის სახელობის პრემია, რომელიც მიეკუთვნება ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის დარგის საუკეთესო ნაშრომთა ავტორებს, მიენიჭა პროფესორ ვ. ა. პრიკლონსკის. მან შექმნა სამტომიანი შრომა გრუნტმცოდნეობაში. (საკდესი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში

ДОНИС РОСТОВი. (საკდესი). ვოლგა-დონის გზის მომსახურებისათვის საჭირო იქნება სხვადასხვა პროფესიის ბევრი მემდინარე.

ვოლგა-დონის ნაოსნობის შედეგად შეიქმნა კაპიტნის თანაშემწეების მექანიკოსებისა და შკიპერების მოსამზადებელი სასწავლო კომბინატები. როსტოვის № 1 სახელოსნო სასწავლებლის სამდინარო ფლოტის კადრებს ამზადებს. ამ სასწავლებლის 120 კურსდამთავრებული ნავიგაციის გახსნიდან იმუშავებს გემებზე, რომლებიც ვოლგაზე, დონსა და ციმლიანსკაიას ზღვაზე იქნებიან.

დონის აუზის სამდინარო გზების სამართველო შეუდგა მექანიკოსებისა და ელექტრომონტიორების მომზადებას.

შეიქმნა საარწყავი სისტემების მშენებლობის სტალინგრადის სამმართველო

სტალინგრადი, 21 იანვარი. (საკდესი). მთავრდება ვოლგა-დონის არხის მშენებლობა. ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში სიმძიმის ცენტრი საარწყავი სისტემების მშენებლობაზე გადადის.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სტალინგრადში შექმნა ახალი სამშენებლო ორგანიზაცია — „სტალინგრადწყალმშენი“, რომელიც განახორციელებს საარწყავი სისტემების მშენებლობას სტალინგრადის ოლქში, ვოლგისგაღმა მხარეში და კასპიის ზღვისპირა დაბლობში.

„სტალინგრადწყალმშენის“ მთავარმა ინჟინერმა ამხ. კურჩენკომ საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

—წელს დაიწყება მშენებლობა გენერალოვკისა და ნოვი აქსაის საარწყავი სისტემებისა, რომლებიც წყალს მიიღებენ ციმლიანსკაიას ზღვიდან შვიდი სატუმბავი სადგურის საშუალებით. სულ ოლქის სამხრეთ ნაწილში აშენდება 33 საარწყავი სისტემა, რომლებიც წყლით უზრუნველყოფენ 1.200 ათას ჰექტარს და მორწყავენ 150 ათას ჰექტარ გვალვიან მიწას. 156 კილომეტრი სიგრძის ერგენის არხი წყალს მიაწვდის ყველაზე დიდ სისტემას, რომელიც წყლით უზრუნველყოფს 500 ათასზე მეტ ჰექტარ ველს.

„სტალინგრადწყალმშენის“ კოლექტივმა ვოლგა-დონის სანაოსნო გზის მარტო სტალინგრადის ზონაში უნდა ამოიღოს 50 მილიონამდე კუბმეტრი გრუნტი, ჩაიწყოს 245 ათასი კუბმეტრი რკინაბეტონი, გაიყვანოს 50-მდე კილომეტრი მილსადენი, აგრეთვე გაამწვანოს ტრასები. უფრო მეტი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი ვოლგისგაღმა მხარესა და კასპიისპირეთში. ვოლგისგაღმა მხარეში, ასტრახანის, გურიევის, დასავლეთ ყაზახეთისა და სარატოვის ოლქებში წყლით უზრუნველმყოფი არხების, საარწყავი სისტემებისა და სატუმბავი სადგურების გავლენის ზონა 13 მილიონ ჰექტარს შეადგენს.

ამ ამოცანების შესასრულებლად „სტალინგრადწყალმშენი“ აღიჭურვება მძლავრი მანქანებით და მექანიზმებით. მარტო ვოლგისგაღმა მხარეში მიწის სამუშაოებისათვის დასახულია გამოყენებულ იქნას შვიდასი ექსკავატორი, ბულდოზერი და გრეიდერი და სამასზე მეტი მიწისმთხრელი მანქანა, თუ არ ჩავთვლით დიდი ტვირთამწეობის სკრეპერებს, თხრილის ამოსაღებ მანქანებსა და მოძრავ ელექტროსადგურებს. ყველა შრომატევადი პროცესი მთლიანად მექანიზებულ იქნება.

წელს აშენდება დამხმარე საწარმოები, შეიქმნება საავტომობილო ბაზები. გაჩაღდება საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების მშენებლობა.

ამჟამად „სტალინგრადწყალმშენის“ სამმართველო მშენებელთა მომზადებას აჩაღებს.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებული დანაზოგი

მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ბურევესტნიკში“ შეჯამებულია თვითეული საწარმოო ოპერაციის თვითღირებულების შემცირებისათვის 1951 წლის მეოთხე კვარტალში გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

კოლექტივის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი შესრულებულია გადაჭარბებით. თვითეულ ოპერაციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულმა ფაქტიურმა დანაზოგმა 1.945 ათას მანეთს გადაჭარბა, მაშინ როცა ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული იყო 1.584 ათასი მანეთი. (საკდესი).

★

ანგონინა ჟანდაროვას და ოლღა აგაფონოვას ახალი მიღწევები

18 იანვარს ლიუბლინოს სამსხმელო-მექანიკური ქარხნის ხარატმა ა. ჟანდაროვამ, რომელიც ერთსა და იმავე დროს ორ სახარატო დაზგას ამუშავებს, შეასრულა თვიური დავალება. იანვრის დავალება შეასრულა მისი ცვლის მუშაამ მრავალდაზგოსანმა ო. აგაფონოვამაც. სტახანოველი ქალების მიერ გამოშვებული მთელი პროდუქცია საუკეთესო ხარისხისაა.

იანვრის განვლილ დღეებში ჟანდაროვამ 28,7 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება, აგაფონოვამ — 45,3 პროცენტით; პირველმა 9,3 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, მეორემ — 7,6 პროცენტით.

—მიღწეულს არ დავჯერდებით, — განაცხადეს ა. ჟანდაროვამ და ო. აგაფონოვამ.

ნოვატორთა მაგალითს ბაძავს ქარხნის ათასობით მუშა. წლის დამდეგიდან საწარმო შარშანდელზე უფრო ძლიერი ტემპით მუშაობს. (საკდესი).

ყაზახეთის ქენდირი

АЛМА-АТА. (საკდესი). ყაზახეთის კოლმეურნეობებში, სადაც ქენდირი მოჰყავთ, გაჩაღდა აგროტექნიკური სწავლა. კურსებსა და სემინარებზე სწავლობს ასობით ბრიგადირი, მერგოლური, რიგითი კოლმეურნე. ისინი სწავლობენ ქენდირის ბიოლოგიას, მისი მოყვანის პროგრესულ ხერხებს.

გასულ ორ წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა ამ ძვირფასი მცენარის დანერგვისათვის. კოლმეურნეობათა სანერგეებში გამოყვანილია სარგავი მასალა. წელს რესპუბლიკაში პირველად მიმდინარეობს ქენდირის საწარმოო ნარგავების გაშენება. ქენდირის ფართობი რვაჯერ გადააჭარბებს 1951 წელს ქენდირით დაკავებულ ფართობს.

ყზილ-ორდაში მთავრდება ქენდირის ქარხნის მშენებლობა. 4 ასეთი საწარმო აშენდება რესპუბლიკის სხვა პუნქტებში.

იახრომის რაბზე გაივლიან პირველი გემები დონისაკენ

ИАХРОМА. (საკდესი). ამა წლის გაზაფხულზე მოსკოვის სახელობის არხის იახრომის რაბზე გაივლიან დონისაკენ მიმავალი პირველი გემები.

რაბის კოლექტივს, რომელიც ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის ემზადება, გაჩაღებული აქვს შეჯიბრება სარემონტო სამუშაოთა ვადამდე დამთავრებისათვის.

იახრომის რაბის მუშაკებმა გადაწყვიტეს გამოცდილება გაუზიარონ ვოლგა-დონის არხის № 3 რაბის კოლექტივს. იახრომიდან დიდ მშენებლობაზე მიემგზავრება ვახტის საუკეთესო უფროსი. იახრომაში სამთვიანი პრაქტიკის მისაღებად ჩამოვლენ ვოლგა-დონის საექსპლოატაციო დარგის მომავალი მუშაკები.

ნოვაგორი ინჟინრის ლექცია

ТУЛА. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის ზარატში წელს პირველად შეუდგებიან ქვანახშირის ფენების დამუშავებას მეცნიერულად გამართლებული ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით. ამ მიზნით აქ წინასწარ ხორციელდება მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებანი. წესრიგზე მოჰყავთ სამთო გამონამუშევრები, გაჰყავთ სავსებო მასალის გამტარი მილგაყვანილობა. ზარატის ხელმძღვანელობა ამ საკითხზე მეზარატეთა შორის სისტემატურად აწყობს საუბრებს, მოხსენებებსა და ლექციებს.

მეზარატეთა დიდი ინტერესი გამოიწვია ამავე ზარატის ნოვატორ ინჟინრის დ. დობრორჯგინიძის ლექციამ თემაზე: „ჰიდრავლიკური ვსების მეთოდი — ქვანახშირის ფენათა დამუშავების ყველაზე რენტაბელური მეთოდია“. დობრორჯგინიძე სტალინის სახელობის ზარატში რამდენიმე წელი ხელმძღვანელობდა საცდელ სამუშაოთა უბანს. ამჟამად, როგორც ცნობილია, აღნიშნულ ზარატში ჰიდრავლიკური ვსების მეთოდი ფართოდ არის დანერგილი.

ლექტორმა მეზარატე მსმენელებს განუმარტა ის უპირატესობანი, რაც ქვანახშირის ფენათა დამუშავებისათვის ჰიდრავლიკური ვსების მეთოდს აქვს დღემდე არსებული სხვა მეთოდების მიმართ, შეჩერდა ამ ახალი მეთოდის გამოყენებით სტალინის სახელობის ზარატში მოპოვებულ წარმატებებზე და ყურადღება გაამახვილა ლენინის სახელობის ზარატის ქვანახშირის საბადოს გეოლოგიურ თავისებურებაზე.

ზუსტი ხელსაწყოები კომუნიზმის დიად მშენებლობებს

თბილისის „ჰიდრომეტპრიბორის“ ქარხანა ერთ-ერთი საწარმოა საბჭოთა კავშირში, რომელიც საგრძნობი რაოდენობით ამზადებს მაღალხარისხოვან ზუსტ ჰიდროლოგიურ და მეტეოროლოგიურ ხელსაწყოებს. ეს ხელსაწყოები უხვად ეგზავნებათ ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს.

გასული სამეურნეო წელი ქარხნის კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა. საწარმოო გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეთ არა მარტო ფულადი გამოხატულებით, არამედ გეგმით გათვალისწინებული 32 სხვადასხვა სახის ხელსაწყოების მთლიანად გამოშვებით.

შარშანდელი წელი ქარხნის კოლექტივისათვის კიდევ იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ ქარხანაში დამზადებულმა ხელსაწყოებმა დაამშვენეს საბჭოთა კავშირის პავილიონები საერთაშორისო გამოფენებზე პრაღაში, ჰელსინკში, ლაიპციგში და ვარშავაში. ამჟამად ჩვენს ქარხანაში დამზადებული ხელსაწყოები საბჭოთა სხვა ექსპონატებთან ერთად გაგზავნილია ქალაქ ბომბეის (ინდოეთი) საერთაშორისო გამოფენაზე, ხოლო ორი თვის შემდეგ მონაწილეობას მიიღებენ ქალაქ მილანის საერთაშორისო გამოფენაზე.

შარშან ასობით პირველხარისხოვანი ხელსაწყოები გაეგზავნა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტს. ეს ხელსაწყოები დაამშვენებენ ამ უნივერსიტეტის კაბინეტებსა და ლაბორატორიებს. დიდძალი ხელსაწყო გავუგზავნეთ და ვუგზავნით აგრეთვე კომუნიზმის დიად მშენებლობებს.

ახალ სამეურნეო წელს ჩვენი ქარხნის კოლექტივი მომზადებული შეხვდა და მიზნად დაისახა უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი ხელსაწყოები გამოუშვას და ვადაზე ადრე მიაწოდოს ისინი კომუნიზმის დიად მშენებლობებს. ქარხნის წინაშე დასახულ ამოცანებს სასახელოდ ვახორციელებთ. იანვრის პირველ დეკადაში უკვე ავაწყეთ ახალი ხელსაწყოები და 7 იანვარს კახოვკის ჰიდროელსადგურის მშენებლებს გავუგზავნეთ 100 ცალი ლიტოლის ხიმინჯები და 10 კომპლექტი წყლის სიჩქარის გამზომი ხელსაწყო.

ამჟამად ქარხნის კოლექტივი, დიდი ენთუზიაზმით მუშაობს სხვადასხვა ხელსაწყოს აწყობაზე, რომლებიც გაეგზავნება თურქმენეთის, ვოლგა-დონის, კუიბიშევისა და სტალინგრადის გიგანტურ ნაგებობათა მშენებლებს. ეს ხელსაწყოებია თოვლის სიმკვრივის საზომი („სნეგომერი“), ატმოსფერული ნალექების საზომი („ოსადკომერი“), წყლის ორთქლის საზომი („ისპარომერი“) და მრავალი სხვა ხელსაწყოები, რომელთა აწყობას უახლოეს დღეებში დავამთავრებთ.

ქარხნის კოლექტივმა მაღალნაყოფიერად დაიწყო ახალი სამეურნეო წელი და ძალონეს არ დაიშურებს მის წინაშე დასახული ამოცანების სასახელოდ შესრულებისათვის.

დ. ივანიშვილი

„ჰიდრომეტპრიბორის“ ქარხნის დირექტორი

თვიური გეგმა ორ კვირაში

САМТРЕДИА. (საკ. კორ.). შრომის სწორი ორგანიზაციისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად იანვრის პირველ ნახევარში სავაგონო დეპოს კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. აქ ვაგონების კაპიტალური და წლიური შეკეთების იანვრის გეგმა 15 იანვრისათვის შეასრულეს, ხოლო 15 დღეში საშუალო შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 2 ვაგონი.

განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს წამყვან პროფესიათა სტახანოველებმა — მჭედელმა ვ. კოხრეიძემ, შემდუღებელმა ბ. ნინაძემ, ზეინკლებმა ო. ვაშაკიძემ და ა. ღალანიძემ, დურგლებმა მ. გაგუამ, ე. მიქელთაძემ და სხვებმა, რომლებმაც იანვრის პირველი ნახევრის დავალება 165-450 პროცენტით გაანაღდეს.

აგურის ქარხნის მექანიზაცია

СТАЛИНИРი. (საკ. კორ.). საშენ ძალაზე, კერძოდ აგურზე, ქალაქ სტალინირში დიდი მოთხოვნილებაა. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით სტალინირის აგურის ქარხანაში ფართოდ ინერგება მექანიზაცია. ამ დღეებში აქ ბელორუსიიდან მიიღეს ახალი მექანიზმები. მიმდინარეობს ქარხნის რეკონსტრუქცია და დანადგარების მონტაჟი.

ახალი მექანიზმებით აღჭურვილი აგურის ქარხანა წელს ოთხჯერ მეტ აგურს გამოუშვებს, ვიდრე წინა წლებში უშვებდა.

პარტიული ცხოვრება

პოლიტწრე ნაყოფიერად მუშაობს

ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში დღითიდღე იზრდება ახალგაზრდა მეტალურგების ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისადმი. გასულ წელთან შედარებით ქარხნის ცალკეულ საამქროთა პარტორგანიზაციებთან შექმნილ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეებში წელს მეცადინეობა უფრო ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე მიმდინარეობს.

ნაყოფიერი მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევა მექანიკურ საამქროსთან არსებული პარტიის ისტორიის შემსწავლელი (სწავლების პირველი წელი) წრე, რომელსაც ქარხნის საგეგმო განყოფილების უფროსი ინჟინერი ილია გედევანიშვილი ხელმძღვანელობს. ი. გედევანიშვილს პროპაგანდისტული მუშაობის არც თუ ისე დიდი ხნის სტაჟი აქვს, - მაგრამ საქმის დიდი სიყვარულითა და ბეჯითი მუშაობით მიაღწია იმას, რომ მისი პოლიტწრე ქარხანაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

ი. გედევანიშვილს მუშაობაში მნიშვნელოვნად ეხმარება ლექციები, პროპაგანდისტთა სემინარი, კონსულტაციები. მაგრამ, ამასთან ერთად, გაოცდილებამ დაარწმუნა, რომ თეორიული დონის ამაღლებისა და განსაკუთრებით მეთოდური ხახელოვნებისათვის მხოლოდ ლექციები და სემინარები საკმარისი არ არის, საჭიროა პროპაგანდისტი სისტემატურად იმაღლებდეს იდეური მომზადების დონეს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობით. ასეც იქცევა. დაუღალავად სწავლობს მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომებს.

გადასაცემი მასალის დამუშავებას გედევანიშვილი რამდენიმე დღით ადრე იწყებს, ეცნობა ძირითად და დამხმარე ლიტერატურას — მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა პირველ წყაროებს, მხატვრულ ლიტერატურას, ჟურნალებისა და გაზეთების სტატიებს, თვალსაჩინოებისათვის იმარაგებს საჭირო მასალებს. ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ გადასაცემ თემაზე ადგენს კონსპექტს. დიდ ყურადღებას აქცევს გადასაცემი მასალის მეთოდურად გააზრებას, ცალკე ადგენს გადასაცემი თემის მეთოდურ გეგმას. ამ გეგმის მიხედვით ყოველი მეცადინეობა წინა მასალის ძირითადი საკითხების გამეორებით იწყება. როგორც გამეორების, ისე ახალი მასალის ახსნის დროს ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს მსმენელებთან, რომ შესასწავლ მასალაზე საუბარი გაიშალოს მსმენელთა აქტიური მონაწილეობით, პროპაგანდისტთან ერთად მსმენელებმაც წამოაყენონ და თვითონვე განმარტონ საინტერესო საკითხები. აზრთა გაცვლა-გამოცვლის, ცოცხალი საუბრის პრინციპზე აგებული სწავლების ასეთი მეთოდი მსმენელთა აქტივობის საუკეთესო საშუალებაა.

გადასაცემ მასალას პროპაგანდისტი ასეთი თანმიმდევრობით ალაგებს, რომ შესათვისებლად ადვილი გახდეს, ამასთანავე ცდილობს თავის მსმენელს ესაუბროს რაც შეიძლება მარტივად, გასაგები ენით, დამაჯერებლად.

ცალკეული ისტორიული მომენტების გაშუქებისას გედევანიშვილი თავის საუბარს მოხერხებულად უკავშირებს თანადროულობას. მსმენელებს ესაუბრება ჩვენი ქვეყნის გრანდიოზულ მიღწევებზე, კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, საბჭოთა ადამიანის მორალზე, ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრისათვის ბრძოლის გაძლიერების საჭიროებაზე და სხვ.

პროპაგანდისტი კარგად იცნობს თავის მსმენელებს, მათ თვისებებს, კარგად იცის თვითეული მათგანის შრომითი მიღწევები.

სწავლის დაწყების პირველ დღეებში ზოგიერთ მსმენელს, კერძოდ, დ. გიორგობიანს, ვ. ტაბაღუას, ბ. ნადირაძეს, ტ. ჩარკვიანს და სხვებს მეცადინეობა უჭირდათ, ხოლო მსმენელები მ. მაისურაძე და კ. ჯორშია, მართალია, გადაცემულ მასალას ითვისებდნენ, მაგრამ სამაგიეროდ კონსპექტის შედგენას ვერ ახერხებდნენ. გედევანიშვილმა მათთან რამდენიმე დამატებითი მეცადინეობა ჩაატარა. ახლა აღნიშნული ამხანაგები არ ჩამოუვარდებიან სწავლაში მოწინავე მსმენელებს.

წრის მეცადინეობა ყოველთვის დანიშნულ დროს და რეგულარულად ეწყობა. არ ყოფილა მეცადინეობის ჩაშლის, გადადების, მსმენელთა მიერ მისი უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები. პროგრამით გათვალისწინებული მასალა საუკეთესოდ შეითვისეს წრის მსმენელებმა: მეფოლადე გ. ბერძენიშვილმა, საამქროს ოსტატმა ი. ომარაძემ, ზეინკლებმა ა. ბერიაშვილმა, ვ. ქვეითაიამ და სხვებმა.

პოლიტიკური სწავლების დონის ამაღლებამ უზრუნველყო წრეში გაერთიანებული კომუნისტებისა და უპარტიოთა აქტივობა როგორც საპეურნეო, ისე საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებაში. ბევრ მათგანს თუ ადრე არ ეხერხებოდა მასის წინაშე სიტყვით გამოსვლა და კონკრეტული ფაქტების განზოგადება, წრეში მეცადინეობისას ეს მათთვის უკვე ჩვეულად იქცა. ახლა ისინი გაბედულად გამოდიან კრებებზე, საწარმოო თათბირებზე და აყენებენ საინტერესო საკითხებს. ამასთან ერთად წრის წევრთა უმეტესობა მნიშვნელოვან პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებებს ასრულებს. მაგალითად, ზეინკალთა ბრიგადირი კომუნისტი ვ. ქვეითაია მექანიკური საამქროს ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილე და ამავე დროს საუკეთესო აგიტატორია. საამქროს ოსტატს კომუნისტ მ. მაისურაძეს პარტორგანიზაცია ხშირად ავალებს პარტიული კრებისათვის ცალკეული საკითხების მომზადებას, რასაც იგი სანიმუშოდ ასრულებს. მღარავები ე. ჩიჩნაძე და ა. მეტრეველი სახელმოხვეჭილი აგიტატორები არიან. ისინი შრომაშიც მოწინავენი არიან.

გ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება

დაიწყეს წინადადებათა შეგროვება

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკაში შეუდგნენ 1951 წლის კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრ ორმხრივ ვალდებულებათა შესრულების მასობრივ შემოწმებას.

ფაბრიკის კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულა და გეგმის გადამეტებით 370.000 მანეთის ქსოვილი გამოუშვა, დაიცვა ასორტიმენტი და ნარისხობრივი მაჩვენებლები. საშუალო პროგრესული ნორმების შესრულება 28 პროცენტით გაიზარდა.

ფაბრიკის პროფესიული ორგანიზაცია და სამეურნეო ხელმძღვანელები დიდ ყურადღებას აქცევენ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას. მუშათა 96,2 პროცენტი ჩაბმულია შეჯიბრებაში და გადიდებული ვალდებულების შესრულებისათვის იბრძვის. ამის შედეგად მინიმუმამდე შემცირდა ნორმის არშემსრულებელთა რიცხვი. ქამოლურმა საამქრომ (უფროსი ს. ნოეიკი) მეხუთედ მოიპოვა საუკეთესო ნარისხის პროდუქციის საამქროს წოდება. საუკეთესო ნარისხის პროდუქციის ბრიგადის წოდება მიენიჭა მქსოველ პ. პონომარენკოს ბრიგადას.

გასულ წელს 329 მქსოველი, მრთველი და სხვა პროფესიის მუშა დაეუფლა ინჟინერ თ. კოვალიოვის მეთოდს. ინდივიდუალურ სწავლებაში, ტექნიკური მინიმუმის შემსწავლელ წრეებსა და სტახანოვურ სკოლებში 400-მდე მუშამ აიმაღლა კვალიფიკაცია. ფაბრიკაში სისტემატურად ნერგავენ ყოველივე ახალს, პროგრესულს. თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითორგანიზებულების შემცირებით დიდ ეკონომიას მიაღწია მრთველთა კ. ანდღულაძის ბრიგადამ.

ჯეროვანი ყურადღება ექცევა მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლას. მუშათა საერთო საცხოვრებლების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი ვადამდე შეასრულეს, ბრძოლის ქუჩაზე დაამთავრეს 5-სართულიანი საერთო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ფაბრიკის საბავშვო ბაღი და ბაგა გაფართოეს. ფაბრიკას აქვს კარგად მოწყობილი კლუბი, სადაც ნაყოფიერად მუშაობენ თვითმოქმედი წრეები, ყოველდღე უჩვენებენ კინოსურათებს.

კარგად არის მოწყობილი მუშათა დასვენება. სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში შარშან 217 მუშა-მოსამსახურემ აღიდგინა ჯანმრთელობა. პიონერთა ბანაკებსა და საბავშვო სანატორიუმებში მუშა-მოსამსახურეთა 350 ბავშვი გაიგზავნა.

არის ნაკლიც. მოუწყობელია მუშათა სასადილო, სადაც არ ჰყოფნით ინვენტარი და დაბალხარისხოვან კერძებს ამზადებენ.

საფაბრიკო კომიტეტმა დაიწყო 1952 წლის კოლექტიური ხელშეკრულებათა შესრულების წინადადებათა შეგროვება. მუშებს საყურადღებო წინადადებები შემოაქვთ. მქსოველი ო. სმირნოვი წინადადებას იძლევა დაბალხარისხოვანი მაქრები ახლით შეიცვალოს, რაც თავლსაჩინოდ გაუმჯობესებს ქსოვის ხარისხს. მქსოველები ნართის ხარისხის ამაღლებას მოითხოვენ.

ფაბრიკის დირექციამ, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ საქმიან წინადადებათა შეგროვება და ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეიტანონ ისინი.

ე. ჯაფარიძე

მონინავეთა გამოცდილება გადავცეთ თვითეულ მუშას

შარშან თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა კოლექტიურ ხელშეკრულებაში მრავალი საქმიანი წინადადება შეიტანეს, იბრძოდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლების განხორციელებისათვის, პერიოდულად წარმოებდა კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მასობრივი შემოწმება.

ფაბრიკის კოლექტივმა მზა ტანსაცმლის გამოშვების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ძირითადად დაიცვა ასორტიმენტი, მაგრამ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება.

შრომის ნაყოფიერების შემცირების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ფაბრიკაში ვერ დანერგეს რიტმული მუშაობა, დაგეგმილი ასორტიმენტის მიხედვით ხშირად ვერ მარაგდებიან ნედლეულითა და დამხმარე მასალებით. ეს კი მუშაობაში იწვევს მზა ნაწარმის ხარისხის დაქვეითებას. სოციალისტურ შეჯიბრებაში თუმცა ყველა მუშა მონაწილეობდა, მაგრამ ფაბრიკის 143 მუშამ ვერ შეასრულა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო 19 მუშამ საგეგმო დავალებაც. ხშირია შემთხვევა, როდესაც გეგმის რაოდენობრივი შესრულებით გატაცებულნი ივიწყებენ ხარისხს.

კომპლექსური ეკონომიისათვის ბრძოლა ფაბრიკაში დროულად დაიწყეს. საგამომჭრელო საამქრომ (უფროსი მ. ხუბულავა) ქსოვილებზე თარგებისა და ტრაფარეტების კომბინირებული განლაგებით 11 თვეში 13.096 მეტრი მელის, ბამბეულისა და აბრეშუმის ქსოვილის ეკონომია გასწია. საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მარო დარჯანიას და თამარ დარაბეგოვას ბრიგადები. მაგრამ ამ მოწინავეთა გამოცდილება ყველა მუშის კუთვნილებად ვერ გადააქციეს. ამის შედეგია, რომ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის მებრძოლი 30 ბრიგადიდან ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ ხუთმა გაანაიდა.

ფაბრიკაში ახლა მიმდინარეობს 1951 წლის ხელშეკრულების შესრულების შემაჯამებელი შემოწმება და 1952 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებაში შესატანი წინადადებების შეგროვება. ფაბრიკის ხელმძღვანელობამ და საფაბრიკო კომიტეტმა უნდა გაითვალისწინონ გასული წლის ნაკლოვანებანი და ყველა ზომა მიიღონ ახალი ხელშეკრულების დროზე დადებისა და ორმხრივ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ჯ. გოგრაძე

გავაუმჯობესოთ მეგზურობა სალაროებისადმი

მშრომელთა დანაზოგები, რომლებიც შემოდის სახელმწიფო სესხებით და შემნახველ სალაროებში ანაბართა მოზიდვით, ჩვენი მშენებლობის დაფინანსების დამატებითი წყაროა. მოსახლეობის ფულადი დანაზოგები აჩქარებენ სოციალისტურ მშენებლობას, ხელს უწყობენ ბუნების გარდაქმნის, კომუნიზმის დიად მშენებლობათა სტალინური გეგმების განხორციელებას.

შემნახველ სალაროებში ანაბართა თანხა და მეანაბრეთა რიცხვი წლითიწლობით მატულობს. მაგალითად, 1946 წლის 1 იანვრისათვის ქ. თბილისის შემნახველ სალაროებში ანაბრების თანხა შეადგენდა 4 მილიონ მანეთს, მეანაბრეთა რაოდენობა კი — 30 ათასზე მეტს. 1951 წლის 1 დეკემბრისათვის 1946 წელთან შედარებით ანაბართა თანხა 250 პროცენტზე მეტად გადიდდა, ხოლო მეანაბრეთა რიცხვი თითქმის 4-ჯერ.

მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე შემნახველი სალაროების საერთო მოცულობა მეანაბრეთა, სახელმწიფო სესხების მქონეთა და სხვა კლიენტთა მომსახურების დარგში. საკმარისია ითქვას, რომ 1950 წელს თბილისის შემნახველმა სალაროებმა გასცეს სახელმწიფო სესხების მოგება 27.265 ათასი მანეთი, 1951 წლის განმავლობაში კი 37 მილიონი მანეთი.

ბევრმა შემნახველმა სალარომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, სანიმუშო მომსახურებას უწევს მშრომელებს, მოსახლეობაში ეწევა საშემნახველო საქმისა და სახელმწიფო კრედიტის პოპულარიზაციას. მოწინავე შემნახველი სალაროებია: ლენინის რაიონში № 3522/108 (გამგე ამხ. კობახიძე, მოლარე ამხ. სირბილაძე), № 3522/0139 (კონტროლიორი ამხ. ქსოვრელი, მოლარე ამხ. მალხაზიანი), სტალინის რაიონში № 3529/030 (გამგე ამხ. ბურჭულაძე, მოლარე ამხ. ქიტუაშვილი), მოლოტოვის რაიონში № 3523/022 (გამგე ამხ. ლოგინოვი, მოლარე ამხ. თუმანოვი), ბერიას რაიონში № 3525/0125 (გამგე ამხ. სანადირაძე, მოლარე ამხ. სულთანოვი) და სხვ.

შემნახველი სალაროების ნაყოფიერი მუშაობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფართოდ და აქტიურად ეწყობა მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა. უნდა ვაღიაროთ, რომ შემნახველ სალაროებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად აქვთ გაშლილი. მთელი რიგი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიები საწარმოებსა და დაწესებულებებში არ ასრულებენ ამ მიმართულებით მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

სუსტად მუშაობენ სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიების თავმჯდომარეები: ა. პოდოსოვი (საქტრიკოტაჟფაბრიკა), მ. ეუკოვი (ცეკავშირთა წარმოო კომბინატი), ფ. ეორობი (მელეხანოვის სახელობის კლუბი), ა. ცხადაძე (ცენტრალური სასპორტო სკოლა), ვ. არველაძე („არტელი „მეველი“), გ. რატიანი („თბილისშენი № 3 სამშენებლო კანტორა) და სხვ.

შემნახველ სალაროებში მშრომელთა დანაზოგების მოზიდვის გასაღებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სალაროების ქსელის გაფართოებას. სწორედ, ქ. თბილისის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები და სახელმწიფო კრედიტის სამმართველომ ვერ შეასრულა ახალი შემნახველი სალაროების გახსნის 1951 წლის გეგმა. ზოგიერთი რაიაღმასკომის, მაღაზიების მოლოტოვის და კიროვის რ. საბჭოების აღმასკომების მიერ შესაბამისი ბინების მიუცემლობის გამო.

ცენტრალური შემნახველი სალაროების გამგეებმა მკაცრი კონტროლი უნდა გაუწიონ თვითეულ თანამშრომელს და მიაღწიონ მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, გეგმების შესრულებას. საჭიროა გავაუმჯობესოთ მეანაბრეთა და სახელმწიფო ობლიგაციების მქონეთა მომსახურება, ღრმად შევისწავლოთ და ფართო პოპულარიზაცია გავუწიოთ მოწინავე შემნახველ სალაროების გამოცდილებას, დავუნერგოთ ჩამორჩენილ სალაროებს, გავლიეროთ კონტროლი კლიენტების ანგარიშსწორებათა სწორად და დროზე შესრულებისადმი, მკაცრად დავიცვათ მშრომელთა საჩივრების, წერილებისა და განცხადებების განხილვის წესი, სწორად დავაკმაყოფილოთ მეანაბრეთა, ობლიგაციების მქონეთა კანონიერი პრეტენზიები და მკაცრად დავსაჯოთ ის მუშაკები, რომლებიც უდისციპლინობას იჩენენ, დაუდევრად და უყურადღებოდ ეპყრობიან დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას.

კადრების განმტკიცებისა და აღზრდის საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია აპარატის მუშაობის შემოწმებასთან, იგი კონტროლის ერთ-ერთ ძირითად ფორმას წარმოადგენს. საჭიროა უფრო გავაძლიეროთ ოპერატიული ხელმძღვანელობა ქალაქის შემნახველ სალაროებისადმი მუშაობის ცალკეულ უბნების სისტემატური შემოწმებით, არსებულ ნაკლოვანებათა ადგილზე აღმოსაფხვრელად.

მთავრობის დადგენილებანი სსრ ფინანსო-საკრედიტო ორგანოების ხელმძღვანელ და პასუხისმგებელ მუშაკთათვის პერსონალურ წოდებათა ფორმის ტანსაცმლისა და ნამსახურობისათვის პროცენტულ დანამატთა შემოღების შესახებ დიდ მოვალეობას აკისრებს შემნახველი სალაროების მუშაკებს. საჭიროა მათ სისტემატურად აიმაღლონ იდეურ-პოლიტიკური დონე, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, მიაღწიონ სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

ა. მარტინოვი

ქ. თბილისის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს უფროსი

საკოლმეურნეო კადრების დასახმარებლად

კოლმეურნეობის წლიური ანგარიში

კოლმეურნე გლეხობა აჯამებს გასული წლის მუშაობის შედეგებს. განვლილ წელს საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა ახალი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერეს სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურის აღმავლობისათვის ბრძოლის ისტორიაში. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით არის შესრულებული ხორბლის, ჩაის, ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების გეგმები. თვალსაჩინოდ გადიდდა სოფლის მეურნეობის აღჭურვა უახლესი პირველხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო იარაღებით. მოპოვებულია ახალი წარმატებანი კოლმეურნეობათა ეკონომიკის განვითარების საქმეში. განუყოფელი ფონდების ზრდა კოლმეურნეობათა სიმძლავრის მაჩვენებელია. ეს ფონდები 1940 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდნენ 762.287 ათას მანეთს, 1950 წელს — 2.673.040 ათას მანეთს. წინასწარი მონაცემებით 1951 წელს განუყოფელი ფონდების რაოდენობა საგრძნობლად აღემატება წინა წლის მაჩვენებლებს. გასული წლის შესანიშნავი შედეგები კვლავ და კვლავ ადასტურებენ საკოლმეურნეო წყობილების დიად ძალასა და სიცოცხლისუნარიანობას.

ამჟამად კოლმეურნეობები ადგენენ ანგარიშს 1951 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე. წლიური ანგარიში კოლმეურნეობის სამეურნეო და ფინანსური მუშაობის სარკეა. მასში ამომწურავად უნდა იყოს მოცემული, თუ რა მუშაობა გასწია კოლმეურნეობამ მრავალფეროვანი ძეურნეობის დარგში, როგორ შეასრულა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დაწესებული გეგმები, მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა, როგორ იყო დაყენებული საქმე საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის, საკოლმეურნეო საკუთრების განმტკიცებისა და დაცვისათვის, შრომადღის ანაზღაურების გადიდებისათვის; როგორ იბრძოდა კოლმეურნეობა პირველი მცენების — სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულებისათვის, რა გაკეთდა კოლმეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების გამოსაყენებლად; რა მუშაობაა გაწეული საწარმოო-სამეურნეო მშენებლობათა დარგში. წლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს კოლმეურნეობის ეკონომიკის სრულ ანალიზს.

კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშში მოცემული უნდა იქნას სხვადასხვა საზოგადოებრივი ფონდების ოდენობა, განისაზღვროს შრომადღეებზე გასანაწილებელი ფულადი და ნატურალური შემოსავალი.

კოლმეურნეობის წლიური ანგარიში სერიოზული დოკუმენტია და მის სწორად და დროულად შედგენას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

კოლმეურნეობის წლიური ანგარიში ოცდაცხრა ცხრილისაგან შედგება. თვითეული ცხრილი უნდა შედგეს ზუსტად, გარკვევით. მოანგარიშე-ბუხჰალტერი წლიურ ანგარიშში არაზუსტი ცხობების შეტანისათვის მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

1951 წლის ანგარიშში შეტანილია ცხრილი საწარმოო ბრიგადებისა და რგოლებისათვის მოსავლიანობის დაწესებული გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

ეს ცხრილი საწარმოო ბრიგადებისა და რგოლების მუშაობაზე უნდა მეივსოს იმ მასალების მიხედვით, რაც მოცემულია კოლმეურნეობის საწარმოო გეგმაში, აგრეთვე კოლმეურნეთა შრომადღეების აღრიცხვის, საწარმოო დავალებათა აღრიცხვისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შესრულების წიგნებსა და დოკუმენტებში.

საჭიროა დიდი დაკვირვებით შეივსოს ცხრილი, რომელიც კოლმეურნეობის გეგმის შესრულებას და მემინდვრეობის შემოსავალს ეხება. ანგარიშის შემდგენლებმა უნდა ისარგებლონ ნატურალური შემოსავლისა და მისი განაწილების აღრიცხვის მასალებით და ნატურალური შემოსავლის განაწილების შესახებ კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით. ცნობები თესვისა და მოსავლის აღების გეგმის შესრულებაზე აღებულ უნდა იქნას საწარმოო გეგმიდან და ბრიგადების შესრულებულ სამუშაოთა კოლმეურნეობის მიერ მიღებული აქტებიდან, რაც შეჯერებულ უნდა იქნას ოპერატიული ანგარიშგების ცნობებთან და თესვის შედეგების საბოლოო ანგარიშთან.

მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების ცხრილი სავალდებულოა დაზუსტდეს „ჯიშიანი პირუტყვის საინვენტარო წიგნის“ მასალების მიხედვით. ყველა შემთხვევაში საჭიროა მონაცემები შევადაროთ საინვენტარო აღწერილობისა და მეცხოველეობის მდგომარეობაზე კოლმეურნეობის ანგარიშის 1952 წლის 1 იანვრის ცნობებს.

ცხრილში, რომელიც შეეხება „სახელმწიფოს წინაშე პროდუქტების ჩაბარების ვალდებულების შესრულებას 1951 წელს“, საჭიროა აღინიშნოს კოლმეურნეობის მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული პროდუქციის ოდენობა, ნატურალური სესხების დაბრუნება და მტს-ის მუშაობისათვის ნატურანაზღაურება.

დიდ დაკვირვებას მოითხოვს შევსება XII ცხრილისა — „ფულადი შემოსავლისა და მისი განაწილების შესახებ“. შემოსავალში აუცილებელია როგორც სალაროში, ისე მიმდინარე ანგარიშზე შემოსული თანხების, აგრეთვე იმ სახსრების ჩვენება, რომელთა შემოსვლა გათვალისწინებულია გაყიდული პროდუქციისა და კოლმეურნეობათა მიერ შესრულებული სამუშაოებისაგან.

XIII ცხრილი ეხება კაპიტალურ დაბანდებათა სახსრებს და მათს ხარჯვას. სახსრების შემოსავლის წყაროებში ნაჩვენები უნდა იყოს კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშზე შეუტანლად დარჩენილი სახსრები განუყოფელი ფონდისა წლის დასაწყისისათვის, აგრეთვე სახსრების ნაშთი კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშზე სასოფლო-სამეურნეო ბანკში წლის დასაწყისისათვის, გადარიცხვები განუყოფელი ფონდის შესავსებად 1951 წლის ფულადი შემოსავლიდან და კაპიტალურ დაბანდებათა როგორც ფაქტიურად შემოსული, ისე კოლმეურნეობაზე დარჩენილი დავალიანება 1952 წლის 1 იანვრისათვის. საგასავლო ნაწილში აღინიშნება როგორც კაპიტალურ დაბანდებებზე ფაქტიურად დახარჯული თანხები, ისე ასანაზღაურებელი თანხები, რაც კოლმეურნეობას ვალად აქვს დაწერილი.

მოანგარიშე-ბუხჰალტერთა დაკვირვებულ მუშაობას საჭიროებს XVIII ცხრილის — „კოლმეურნეობის ბალანსი 1952 წლის 1 იანვრისათვის“—შედგენა. სიზუსტეი აუცილებელი წარმოების ძირითად საშუალებათა და განუყოფელი ფონდებისა და საპაიო შენატანთა მუხლების შევსების საქმეში. საჭიროა შეივსოს გრაფები გამოყოფილი სათესლე (ძირითადი და სადაზღვევო), საფურაჟე (ძირითადი და სადაზღვევო), სასურსათო სადაზღვევო და ხხვა ფონდების შესახებ.

XX ცხრილში უნდა აღინიშნოს კოლმეურნეობის დამზმარე საწარმოების მუშაობა და მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის სახეები და ოდენობა.

კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორგანული და მინერალური სასუქების ეფექტიანობის დაზუსტებას. საჭიროა აღინიშნოს, თუ რამდენად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ამა თუ იმ სახის სასუქის ნიადაგში შეტანის შედეგად.

XXVIII ცხრილი შეიცავს ცნობებს კოლმეურნეობაში მიწათსარგებლობის შესახებ. ამ ცხრილში მოცემული ცნობები სავალდებულოა შედარდეს მიწების სარაიონო ბალანსის მონაცემებს.

კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშში საჭიროა აღინიშნოს, თუ რამდენჯერ მოეწყო კოლმეურნეთა საერთო კრება, გამგეობის სხდომები, აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებისა და კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიების მიერ ჩატარებული საფინანსო რევიზიები. წლიურ ანგარიშს ხელს აწერენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კოლმეურნეობის მოანგარიშე-ბუხჰალტერი. წლიურ ანგარიშს დართული უნდა ჰქონდეს კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის დასკვნა კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.

კოლმეურნეობის წლიური ანგარიშის შედგენა არ არის მარტო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სანგარიშო დარგის მუშაკების საქმე. მასში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრონომებმა, ზოოტექნიკოსებმა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტებმა, მთელმა საკოლმეურნეო აქტივმა.

კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშს კანონიერი ძალა მას შემდეგ აქვს, როცა მას განიხილავს და დამტკიცებს კოლმეურნეთა საერთო კრება.

საანგარიშო კრება, რომელიც კოლმეურნეობის მუშაობის წლიურ ანგარიშს განიხილავს, კანონიერად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება კოლმეურნეობის წევრთა საერთო რიცხვის არანაკლებ $^2/_3$ ნაწილისა.

წლიური ანგარიშის დროზე შედგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გასულ წელს იყო შემთხვევები, როცა წლიური ანგარიშის შედგენა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე განხილვა გაჭიანურეს. ასე იყო, მაგალითად, მარნეულის, ხაშურის, თეთრი წყაროს, კასპის, ჩხოროწყუს, აბაშის, ზნაურისა და მცხეთის რაიონებში.

ზუგდიდის, ორჯონიკიძის, ხობის, გურჯაანის, სიღნაღის, კაჩრეთისა და ქიათურის რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში წლიური ანგარიში კრებებზე საფუძვლიანად არ განიხილეს, კოლმეურნეობის გამგეობისა და სარევიზიო კომისიების მუშაობაში არ იყო გამოვლინებული ნაკლოვანებანი. მსგავსი რამ წელს არ უნდა გავიმეოროთ. საჭიროა საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩავატაროთ ძალიან პოლიტიკურ დონეზე. კოლმეურნეობის გამგეობის საანგარიშო მოხსენების გარშემო უნდა გაჩაღდეს აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა, ჯანსაღი კრიტიკა და თვითკრიტიკა, რაც კოლმეურნეობათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მტკიცე საწინდარია.

საანგარიშო კრება, რომელიც კოლმეურნეობის მუშაობის წლიურ ანგარიშს განიხილავს, კანონიერად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება კოლმეურნეობის წევრთა საერთო რიცხვის არანაკლებ $^2/_3$ ნაწილისა.

საანგარიშო კრებების კარგად ჩატარებას დიდად შეუწყობს ხელს კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. სარევიზიო კომისია კოლმეურნეობის თვალი და ყურია. აუცილებელია სარევიზიო კომისიებმა მოახდინონ კოლმეურნეობის წლიური მუშაობის საფუძვლიანი რევიზია და მტკიცედ იდგნენ საკოლმეურნეო საკუთრების დაცვის სადარაჯოზე.

კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ დამტკიცებულ წლიურ ანგარიშს იღებს რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე. იგი ვალდებულია კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე მოსმენოს სპეციალისტთა დასკვნა. კოლმეურნეობის წლიური ანგარიში გულდასმით უნდა შეამოწმონ სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებმა, გაუკეთონ შენიშვნები და წამოაყენონ პრაქტიკული წინადადებანი — კოლმეურნეობის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. წლიურ ანგარიშზე თანდართულ ამ შენიშვნებზე ხელს აწერენ რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, მთავარი აგრონომი, მთავარი ზოოტექნიკოსი და უფროსი ინსტრუქტორ-ბუხჰალტერი.

რაიონის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებები თავიანთი დასკვნით კოლმეურნეობათა წლიურ ანგარიშებს განსახილველად წარადგენენ რაისაბჭოს აღმასკომში. დამატებით შეტანილ ყველა აუცილებელი შესწორება და ცვლილება დამტკიცებულ უნდა იქნას კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

კოლმეურნეობათა გამგეობების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების და სარევიზიო კომისიების არჩევნები მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საკოლმეურნეო წესდებით დადგენილი ვადები გასულია, ან როცა კოლმეურნეთა საერთო კრება საჭიროდ ჩათვლის ვადამდე მოახდინოს ეს. კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების შედგენა, მათი განხილვა და დამტკიცება, საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მოწყობა უნდა დამთავრდეს 1952 წლის 20 თებერვლამდე. პარტიული და საბჭოთა ორგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინო

ფილმი ცხოვრების სიმართლეზე

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კინოხელოვნებამ არა ერთი საუკეთესო მხატვრული ფილმი შექმნა საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ შრომასა და თავდადებაზე ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

უბრალო რიგითი შრომისმოყვარე საბჭოთა ადამიანების კეთილშობილურ თვისებებსა და მათს პატრიოტულ საქმეებზე მოგვითხრობენ ცნობილი ფილმები „დონბასელი მეშახტეები", „ყუბანელი კაზაკები", „ოქროს ვარსკვლავის კავალერი", „მასწავლებელი" და მრავალი სხვა. ამ ფილმების გმირების პროტოტიპები მრავალია ჩვენი თვალწინ მყოფი სოციალისტური სამშობლოს ყველა კუთხეში. მათი საგმირო საქმეებით ამაყობს მთელი ჩვენი ქვეყანა, მათს მაგალითზე იზრდებიან ასობით ასობით ახალგაზრდები.

ამჟამად თბილისის ეკრანებზე უჩვენებენ ახალ ფერად მხატვრულ ფილმს „სოფლის ექიმი". ეს ფილმი მოგვითხრობს ჩვენი სოციალისტური ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების — სოფლის ექიმების, საშუალო სამედიცინო პერსონალის ცხოვრებასა და თავდადებულ მუშაობაზე, მათს მუდმივ ზრუნვაზე სოფლის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, მათი კულტურის აღმავლობისათვის.

უყურებთ ფილმს, და პირველი კადრებიდანვე უმეგობრდებით მის გმირებს. ფილმის მთელი სიუჟეტი ცხოვრების სიმართლეზე მოგვითხრობს. ეს სიმართლე ზოგჯერ ისეთ სიმაღლემდე აღწევს, რომ მაყურებელს დარბაზში კი არ ჰგონია თავი, არამედ თვითონ ფილმის გმირების წრეში, თითქოს იცნობს თვითეულ მათგანს, საქმიანი ურთიერთობაც კი ჰქონია მათთან. ასეთია ამ ფილმის ჟეშმარიტად რეალისტური ძალა. რაც მთავარია, ფილმში ბუნებრივად მოცემულია ახალი ადამიანის ზრდა და ახლისადმი დაუცხრომელი მისწრაფება.

ფილმის შინაარსი ასეთია: ახალგაზრდა ექიმი ტატიანა კაზაკოვა, რომელმაც ეს-ეს არის დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი, საგზურით მიდის სოფლის საავადმყოფოში სამუშაოდ. მისი მტკიცე გადაწყვეტილებაა მთელი თავისი ცოდნა მოახმაროს თავის ხალხს, ახალგაზრდული ენთუზიაზმით ემსახუროს თავის საყვარელ საქმეს.

სოფელში, სადაც კაზაკოვაა მივლინებული, საავადმყოფოს გამგედ მუშაობს მოხუცი და გამოცდილი ექიმი არსენიევი. მას ამ სოფელში მოღვაწეობისა და ცხოვრების ორმოცდაათი წელი შესრულებია. მოხუცი ექიმი თავის ახალგაზრდა თანაშემწეს იდუმალი უნდობლობით ხვდება. და აი რატომ: კაზაკოვას მისვლამდე სწორედ ამ საავადმყოფოდან წავიდა ასეთივე ახალგაზრდა ექიმი, ერთერთი იმ ახალგაზრდა ექიმთაგანი, ვინც უფრო იოლ საშუშაოს ეძებს. ამ წლოვანებით ახალგაზრდამ და თავისი შინაგანი თვისებებით მკონარამ მოხუც ექიმში გამოიწვია უნდობლობა ყველა ახალგაზრდისადმი. მაგრამ არსენიევი მალე დარწმუნდება, რომ კაზაკოვას სახით მას საქმე აქვს მოწინავე ადამიანთან. კაზაკოვამ ეს დაამტკიცა თავისი თავდადებული მუშაობით, საქმის ღრმა ცოდნით, ადამიანებისადმი სათუთი და გულისხმიერი დამოკიდებულებით. მეიცვალა მოხუცი ექიმის დამოკიდებულება ახალგაზრდა კაზაკოვასადმი და იგი მათ შორის ძმურვალე და საქმიანი მეგობრობით დაბოლოვდა.

საოლქო და რაიონულ ცენტრს დაშორებული სოფლის საავადმყოფოს წინაშე არსებული მრავალი სიძნელე სრულიად არ აშინებთ ორმოცდაათი წლის გამოცდილებით აღჭურვილ არსენიევს და საგსებით ახალგაზრდა კაზაკოვას. მათ ერთი უკეთილშობილესი იდეალი აღაფრთოვანებთ: ეს არის ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაზე მუდმივი ზრუნვა. და ისინი ადგილობრივი და რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით სამაგალითოდ აწყობენ საავადმყოფოს, საუკეთესო პირობებს ქმნიან ავადმყოფთა ყოველმხრივ მკურნალობისათვის. არსენიევი და კაზაკოვა წარმატებას აღწევენ იმით, რომ მუშაობაში ეხმარებიან ერთმანეთს, საერთო ძალღონით აუმჯობესებენ საავადმყოფოს მუშაობას.

ამ ფილმს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ახალგაზრდა ექიმებისათვის და არა მარტო ახალგაზრდებისათვის. ფილმი დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი ამოცანებია დასახული სოფლის ექიმის წინაშე, როგორ უნდა ზრუნავდეს იგი ჯერ კიდევ გამოუცდელი, პრაქტიკაში ნაკლებად დახელოვნებული ახალგაზრდა სპეციალისტების დავაჟკაცებასა და აღზრდისათვის. ამავე დროს ფილმი ჩვენს ახალგაზრდა ექიმ სპეციალისტებს უჩვენებს, თუ როგორ უნდა ებრძოდნენ სიძნელეებს და აღწევდნენ წარმატებას.

ფილმის მთავარი გმირის ტატიანა კაზაკოვას პატრიოტული თვისება — შორეული მხარის სოფლის საავადმყოფოში სამუშაოდ თავისი სურვილით წასვლა — მაგალითი უნდა გახდეს ჩვენი ახალგაზრდა ექიმებისათვის.

ფილმში ახალგაზრდა ექიმის როლს ასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი თამარ მაკაროვა. ახალგაზრდა ექიმი ქალის განსახიერება მსახიობის მორიგ შემოქმედებით გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

შესანიშნავ წარმატებას აღწევს ექიმ არსენიევის როლში რსფსრ სახალხო არტისტი გიორგი ბელოვი. მის მიერ განსახიერებული მოხუცი ექიმი ცხოვრების სიმართლით არის ნაჩვენები. იგი მკაცრია და კეთილი, მომთხოვნელი და მიმნდობელი. მას სძულს მკონარობი, მაგრამ უყვარს და თავს ეალება შრომისმოყვარეებს, ახლის მაძიებლებს. ასეთი არსენიევები მრავალია საბჭოთა ქვეყანაში! მსახიობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი დამაჯერებლად და ნიჭიერად გვიჩვენებს ექიმ არსენიევის ამ მეტად რთულ სახეს.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს საავადმყოფოს საშუალო და დაბალი პერსონალის, აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარის, რიგითი კოლმეურნეების, რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის, პარტიის რაიკომის მდივნის სახეები. მართალია ისინი ფილმში ეპიზოდურად არიან მიცემული, მაგრამ მათი რეალური სახეები უფრო ძლიერსა და შინაარსიანს ხდიან ფილმს.

ფილმი „სოფლის ექიმი" საბჭოთა კინოხელოვნების ახალი მნიშვნელოვანი გამარჯვებაა.

ა. სპეროზაშვილი

* „სოფლის ექიმი" — ფერადი მხატვრული ფილმი. სცენარი მ. სმირნოვისა; დადგმა ს. გერასიმოვის; ოპერატორი ვ. რაპოპორტი; მხატვრები ი. სტეპანოვი, ლ. იკონიკოვი; კომპოზიტორი ნ. ბუდაშკინი. მოსკოვის მ. გორკის სახელობის კინოსტუდიის ნაწარმოები.

ჩვენ გვწერენ

უმოქმედო ელსადგური

გორის რაიონის სოფლების მეღვრეკისის, ტირძნისის, ბროწლეთის და ერგნეთის კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით 1949 წელს მდინარე ლიახვზე აგებულ იქნა ჰიდროელექტროსადგური. კოლმეურნეთა ბინები ილიჩის ნათურამ გაანათა. დიდი იყო მშრომელთა სიხარული.

მაგრამ ელექტროსადგური მალე დაზიანდა და ერთი წელია რაც აღარ მუშაობს. უყურადღებოდ მიტოვებული ელსადგურის ქონება ნადგურდება. საზოგადოებრივი ქონების დაცვას სრულებით არ აქცევენ ყურადღებას მეღვრეკისის კოლმეურნეობის გამგეობა და ტირძნისის სასოფლო საბჭოს აღმასკომი.

ამ საქმით უნდა დაინტერესდეს გორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი.

კოლმეურნეები შ. ზერეკიძე
ჯ. ბუჟღულაშვილი
ო. კიკვილაშვილი
ო. ედიშერაშვილი

რუსთაველის სახელობის კინოთეატრში წესრიგი უნდა დამყარდეს

თბილისის რუსთაველის სახელობის კინოთეატრში ყოველდღე მრავალი ასეული მაყურებელი იყრის თავს. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ კულტურულ მომსახურებას ვერ უწევენ.

აქ ბილეთები უმთავრესად გადამყიდველთა ხელში ტრიალებს.

11 იანვარს საღამოს 7½ საათზე თეატრის ორივე სალაროს სარკმელი გამოკეტილი აღმოჩნდა, თითქოს ბილეთები მთლიანად „გაყიდული" იყო. ვესტიბიულში თავმოყრილი გადამყიდველნი კი ორმაგ-სამმაგ ფასში მაყურებლებს ბილეთებს სთავაზობდნენ. შესასვლელ კართან მდგომი ოთხი მილიციელი ამ უმსგავსობას „ვერ ამჩნევდა". როცა მილიციის მუშაკს ამბ. ბერუაშვილს გადამყიდველთა რამდენიმე ჯგუფზე მიუთითეს და სთხოვეს საჯარო ზომების მიღება, მან უკმეხად განაცხადა: — ნუ გვასწავლით და ნუ ერევით ჩვენს საქმეში.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ უმსგავსობის შესახებ დირექტორსაც მოახსენეს. დირექტორმა განაცხადა, სპეკულანტებთან ბრძოლა არც ამის საქმეა და არც ჩემი, გადამყიდველებს თვით მაყურებლები უნდა გაუსწორდნენო.

დირექტორმა შ. რუხაძემ წესრიგისაკენ მომწოდებელი მაყურებლის შენიშვნა არ მიიღო, პირიქით, მისი დასჯა განიზრახა. ასეთი ფაქტები აქ ერთეული როდია.

რუსთაველის სახელობის კინოთეატრში ერთხელ და საბოლოოდ წესრიგი უნდა დამყარდეს. მაგრამ საეჭვოა სანამუშო წესრიგის დამყარება მოინდომოს ადმინისტრატორმა, რომელიც ასე გულგრილად ხვდება გადამყიდველთა თარეშს.

ვანო წულუკიძე

გამოუქვეყნებელი წერილების

კვაღდაკვაღ

უ. კაიკაციშვილი მიცემულია პასუხისგებაში

რედაქციაში შემოვიდა სოფლკორის წერილი, რომელშიც მხილებული იყო ქობულეთის № 3 შემფუთავი ქარხნის ყოფილი ტექნიკური ხელმძღვანელის უ. კაიკაციშვილის დანაშაულებრივი საქმიანობა. წერილი შესამოწმებლად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომს.

პარტიის ქობულეთის რაიკომის მდივანი ამხ. ე. ტაკიძე რედაქციას ატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ქარხნის ყოფილი ტექნიკური ხელმძღვანელი უ. კაიკაციშვილი მიცემულია სასამართლო პასუხისგებაში, ხოლო ქარხნის დირექტორი ამხ. ჯაბუა პარტიის რაიკომის ბიუროს დადგენილებით განთავისუფლებულია სამუშაოდან.

ფასების დამმახინჯებელი

სოფლკორი გვწერდა, რომ ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის მაღაზიაში გამყიდველი ლ. ჩიქოვანი ხშირად არღვევს საბჭოთა ვაჭრობის წესებს.

როგორც პარტიის ჩხოროწყუს რაიკომი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. საცალო ფასების დამახინჯებისათვის ლ. ჩიქოვანი მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

პასუხი შეკითხვაზე

ბარუხის გეგმა

ზ. ვაღლაკელიძის (ქუთაისი), ა. დგებუაძის, ვ. ბარბაქაძის (თბილისი), მ. ვაჩაძის (ამბროლაური), დ. გეგეშიძის (მაიაკოვსკი) შეკითხვა

1945 წლის დეკემბერში სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ატომურ ენერგიაზე კონტროლის დაწესების მიზნით სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ.

1946 წლის 24 იანვარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველმა სესიამ, საბჭოთა დიპლომატიის აქტიური მონაწილეობით, შექმნა უშიშროების საბჭოს სისტემაში შემავალი კომისია ატომური ენერგიის დარგში, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუდმივი დამხმარე ორგანო. კომისიამ მუშაობა დაიწყო 1946 წლის ივნისში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ატომური ენერგიის კომისიაში წარადგინა კომისიის წევრის — ბერნარდ მანეს ბარუხის გეგმა.

ეგრეთწოდებული ბარუხის გეგმა მიზნად ისახავდა კონტროლი ატომური ენერგიისათვის საჭირო ნედლეულზე და ატომური ენერგიის დარგში კვლევითს მუშაობაზე, ე. ი. კონტროლის დაწესებას იმ ქვეყნებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ატომური ბომბი. ხოლო არსებული ატომური იარაღის აკრძალვა და მოსპობა, ბარუხის გეგმის მიხედვით, უნდა გადადებულიყო განუსაზღვრელი ვადით.

ბარუხის გეგმით უნდა შექმნილიყო ატომურ ენერგიაზე კონტროლის საერთაშორისო ორგანიზაცია—ე. წ. „ატომური განვითარების სრულუფლებიანი ორგანიზაცია". თვით ამ ორგანიზაციის სახელწოდებიდან ჩანს, რომ მისი ფუნქციები სცილდება ატომურ ენერგიაზე კონტროლის ჩარჩოებს.

ბარუხის გეგმის მე-2 პუნქტში, სადაც ლაპარაკია ატომური ენერგიისათვის საჭირო ნედლეულზე, ნათქვამია, რომ „სრულუფლებიანმა ორგანიზაციამ" უნდა მიიღოს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან სრული და სწორი ინფორმაცია ურანისა და თორიუმის მარაგის შესახებ და დაამყაროს მათზე კონტროლი. ამასთანავე, „სრულუფლებიანი ორგანიზაცია", თავისი წარმომადგენლების საშუალებით, სისტემატურად უნდა აზუსტებდეს ურანისა და თორიუმის ადგილსამყოფელს ყველა ქვეყანაში, რათა მიაწოდოს ეს ცნობები ამერიკელ მონოპოლისტებს. ამრიგად, ლაპარაკია ატომური ენერგიისათვის საჭირო ნედლეულის მოპოვების მიზნით საერთაშორისო კარტელის შექმნაზე და არა რეალური კონტროლის დაწესებაზე.

ბარუხის გეგმის მე-3 პუნქტის მიხედვით, „სრულუფლებიანმა ორგანიზაციამ" კონტროლი უნდა გაუწიოს ყველა იმ ქარხანას, რომელიც ამზადებს მასალებს ატომურ ბომბებისათვის. ამ პუნქტის მიზანია ატომური ენერგიის მიღების მონოპოლია შეუნარჩუნოს ამერიკელ იმპერიალისტებს.

ბარუხის გეგმის მე-4 პუნქტი კი უფრო შორს მიდის. მის მიხედვით ატომური ენერგიის დარგში კვლევითი მუშაობის უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ ამ უბადაღებულ „სრულუფლებიან ორგანიზაციას".

ბარუხი მოითხოვდა ატომური ენერგიისათვის ისეთი „საერთაშორისო ხელისუფლების" შექმნას, სადაც გაბატონებულ როლს შეასრულებდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა. „საერთაშორისო ხელისუფლება" იმოქმედებდა, როგორც მსოფლიო ატომური ტრესტი.

ეს იმას ნიშნავდა, რომ განუსაზღვრელი ვადით გადადებულიყო ატომური იარაღის აკრძალვისა და მასზე კონტროლის დაწესების საკითხი.

ბარუხის გეგმას ახასიათებს ე. წ. სტადიების სისტემაც, რომლის მიზანია არ გამოამჟღავნოს ამერიკის საიდუმლოება და არ დაუშვას ატომური იარაღის წარმოების აკრძალვა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ რაიმე გადაწყვეტილების მიღებისთანავე, არამედ ეს საკითხი გადაიდოს შემდგომი „უკანასკნელი" სტადიისათვის.

ამრიგად, ბარუხის გეგმის მიზანია ხელი შეუშალოს ატომური იარაღის აკრძალვას. 1946 წლის 29 ოქტომბერს გენერალური ასამბლეის სხდომაზე ამხ. ვ. მოლოტოვი ამბობდა, რომ „ბარუხის გეგმა არც არსებითად და არც ფორმით არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ინტერესებს".

ატომური ენერგიის კონტროლის კომისიაში 1946 წლის 20 ივნისს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ამხ. ა. გრომიკომ საბჭოთა კავშირის სახელით შეიტანა წინადადება ატომური იარაღის აკრძალვის მიზნით საერთაშორისო კონვენციის დადების შესახებ. საბჭოთა მთავრობის ეს წინადადება ძირეულად განსხვავდება ამერიკის ე. წ. ბარუხის გეგმისაგან და საკვლევით შეესაბამება მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის გეგმის მიხედვით პირველ რიგში ხელი უნდა მოეწერათ კონვენციაზე ატომური იარაღის დამზადებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ, არსებული ატომური იარაღის მოსპობისა და ამ კონვენციის ყველა დამრღვევთა დასჯის შესახებ.

მეორე რიგში კი უნდა დამყარებულყო რეალური კონტროლი ატომური ენერგიის უკანონოდ გამოყენებაზე; დაშვებულიყო სამეცნიერო ინფორმაციისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ატომური ენერგიის დარგში ყველა ქვეყანას შორის და გამოყენებულიყო ატომური ენერგია მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის, კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის მიერ წარმოდგენილი კონვენციის პროექტის პირველი მუხლი ითვალისწინებდა, ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ სამი თვის განმავლობაში არსებული ატომური იარაღის მოსპობას. ხოლო მეორე მუხლი საერთაშორისო დანაშაულად თვლიდა ზემოხსენებული პირველი მუხლის დარღვევას.

1947 წლის 4 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ატომური ენერგიის კონტროლის კომისიაში ბერნარდ ბარუხი გადადგა. მისი ადგილი დაიკავა ოსტინმა. პრეზიდენტ ტრუმენისათვის გაგზავნილ წერილში ბარუხი წერდა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეინარჩუნონ მონოპოლია ატომურ იარაღზე. ბარუხის გადადგომის შემდეგაც, ამერიკა-ინგლისის ბლოკის საბოტაჟის შედეგად, ატომური ენერგიის კომისიის მუშაობა არაერთხელ მოემწყვდა ჩიხში, ხოლო 1949 წელს მან ფაქტიურად შეწყვიტა მუშაობა.

გენერალური ასამბლეის მე-6 სესიაზე, რომელიც 1951 წლის 6 ნოემბერს გაიხსნა პარიზში, საბჭოთა კავშირის დელეგაციამ კვლავ შეიტანა წინადადება ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ. ამერიკა-ინგლისის ბლოკი აქაც შეეცადა რადაც უნდა დასჯდომოდა არ დაეშვა ატომური იარაღის აკრძალვის და შეიარაღების შემცირების რეალური ზომების მიღება.

საბჭოთა კავშირის წინადადებას დასავლეთის ბლოკმა დაუპირისპირა ე. წ. „სამთა" დეკლარაცია. როგორც ცნობილია, ამ დეკლარაციის შინაარსზე ილაპარაკა ჯერ ტრუმენმა, ხოლო შემდეგ პარიზის სესიაზე აჩესონმა — 1951 წლის 8 ნოემბერს. ერთიც და მეორეც ცდილობდნენ წარმოედგინათ ეს დეკლარაცია როგორც „ახალი წინადადება", „ახალი პროგრამა".

„სამთა" დეკლარაცია არ ისახავდა კეთილშობილურ მიზნებს. ეს იყო დასავლეთის სახელმწიფოების მმართველი წრეების ცდა — შეიარაღების და შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხი შეეცვალათ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესახებ ცნობების შეგროვებით.

ამ დეკლარაციის პრინციპები მთლიანად გადმოწერილია ბარუხის გეგმიდან, სადაც ლაპარაკია მის განხორციელებაზე თანდათანობით, სტადიების მიხედვით.

ამრიგად, „სამთა" დეკლარაცია გვერდს უვლის შეიარაღების შემცირების საკითხს. დეკლარაცია არ იძლევა წინადადებას ატომური იარაღის აკრძალვის ძესახებ. დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვაზე.

საბჭოთა დელეგაციამ პარიზის სესიაზე მოითხოვა, რომ გენერალურ ასამბლეას მიეღო ორი გადაწყვეტილება: 1) ატომური იარაღის აკრძალვისა და საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს დაარსების შესახებ. 2) ატომური იარაღის აკრძალვისა და სასტიკი საერთაშორისო კონტროლის დაწესების თაობაზე გენერალურ ასამბლეის დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად კონვენციისა და პრაქტიკულ ღონისძიებათა მომზადების შესახებ.

ამასთანავე, საბჭოთა კავშირი მოითხოვს დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას ხუთი დიდი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთისა და საფრანგეთის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ⅓-ით შემცირება, რაც უნდა დამთავრდეს ერთი წლის განმავლობაში დღიდან სათანადო დადგენილების მიღებისა.

საბჭოთა კავშირის ამ ნათელ წინადადებებს ამერიკა-ინგლისის ბლოკმა დაუპირისპირა თავისი ყბადაღებული ბარუხის გეგმა, რომელსაც ლონდონის კონსერვატიულ გაზეთ „ტაიმისის" აზრითაც არავითარი ღირსება არა აქვს, უტოპიური და პრაქტიკულად გამოუყენებელია.

დასავლეთის სახელმწიფოების მმართველი წრეები ამბობენ, თითქოს შეუძლებელია ატომური იარაღის აკრძალვა მანამდე, სანამ არ დაწესებულა და ძალაში არ შესულა საერთაშორისო კონტროლი, ე. ი. მათი აზრით ატომურ იარაღზე ჯერ უნდა დაწესდეს კონტროლი და შემდეგ მოხდეს აკრძალვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას შემდეგაც, რაც სათანადო სახელმწიფოები შეთანხმდებიან ატომური იარაღის აკრძალვისა და საერთაშორისო კონტროლის დაწესების აუცილებლობაზე, შესაძლებელი იქნება ანგარიში არ გაუწიონ ასეთ შეთანხმებას და განაგრძონ ატომური იარაღის დამზადება.

საბჭოთა მთავრობის აზრით გადაწყვეტილება ატომური იარაღის აკრძალვისა და საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ გამოტანილ უნდა იქნას ერთდროულად. ამ მხრივ საბჭოთა მთავრობის წინადადებანი არავითარ სტადიებს არ ითვალისწინებენ.

ამხანაგმა სტალინმა „პრავდის" კორესპონდენტის კითხვაზე გასული წლის ოქტომბერში, უპასუხა: „საბჭოთა კავშირი მოითხოვს ატომური იარაღის აკრძალვას და ატომური იარაღის წარმოების შეწყვეტას. საბჭოთა კავშირი მოითხოვს საერთაშორისო კონტროლის დაწესებას იმისადმი, რომ გადაწყვეტილება ატომური იარაღის აკრძალვის, ატომური იარაღის წარმოების შეწყვეტისა და უკვე დამზადებული ატომური ბომბების მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო მიზნით გამოყენების შესახებ მთელი სიზუსტით და კეთილსინდისიერებით ხორციელდებოდეს. საბჭოთა კავშირი სწორედ ასეთი საერთაშორისო კონტროლის მომხრეა".

ამერიკელი იმპერიალისტები გაურბიან რაიმე საერთაშორისო ღონისძიების მიღებას ატომური ენერგიის დარგში, რათა ხელი არ შეეშალოს მათს ვამალებულ შეიარაღებას და ახალი ომისათვის მზადებას. ჯერ კიდევ 1947 წლის ივნისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ატომური ენერგიის სამოქალაქო კომისიის თავმჯდომარედ ლილიენტალის დანიშვნასთან დაკავშირებით, სენატორმა მაკლარმა, გამოთქვა რა ამერიკელი მონოპოლისტების აზრი, განაცხადა: „ღმერთს ვიცოდეთ, რომ ჩვენ არასოდეს არ გვქონდეს რაიმე საერთაშორისო შეთანხმება ატომურ ენერგიაზე კონტროლის შესახებ".

ამერიკელ იმპერიალისტებს არა სურთ ატომური იარაღის აკრძალვა და შეიარაღების შემცირება. ეს მათ დამტკიცეს ახლაც, გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე.

ი. ტაბაღუა
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის კოპენჰაგენის სესიაზე

კოპენჰაგენი, 23 იანვარი. (საკადესი). დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის სესია გუშინ მუშაობას განაგრძობდა. დღის წესრიგის პირველი პუნქტის — ახალგაზრდობის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის გამო კამათში გამოვიდნენ ჯარლო (რესპუბლიკური ესპანეთი) და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სახელით — ჯარლოს ფერნანდესი.

მშვიდობის დასაცავად ინგლისისა და საფრანგეთის ახალგაზრდათა ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების შესახებ მოხსენება გააკეთეს ჯონ მოსმა (ინგლისი) და ლეი ბაიომ (საფრანგეთი).

თავის მოხსენებაში ჯონ მოსმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ინგლისის ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა კონსერვატიული მთავრობა, ახალგაზრდობის ცხოვრების პირობები გაუარესდა. მზადდება კანონპროექტი სამი წლის ნამდვილი სამხედრო სამსახურის შესახებ. ინგლისელ ახალგაზრდობას მიმართავენ მოწოდებით: „თავი დაანებეთ მუშაობას, შედით არმიაში!" ინგლისში მატულობს სურსათ-სანოვაგის ფასები.

ჯონ მოსმა ილაპარაკა მრეწველობის სამშვიდობო დარგების შეკვეცასთან დაკავშირებით ინგლისელ ახალგაზრდობაში უმუშევრობის ზრდაზე.

შარშან სალამოს სკოლებში სწავლის ფასი 30 პროცენტით გაიზარდა, ამის გამო ახალგაზრდა მუშებს საშუალება აღარა აქვთ შეიძინონ სპეციალობა. ამ ექვსწლიანი სამი წლის განმავლობაში რამდენ შემცირდა ისინიანი უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების სტიპენდიებისათვის. ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით შოტლანდიაში, გადიდდა ტუბერკულოზით დაავადებულთა რაოდენობა.

ინგლისელ ახალგაზრდობა აძლიერებს ბრძოლას მშვიდობის და თავისი უფლებებისათვის. ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მმართველობაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიაში.

ლეი ბაიომ ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რასაც ფრანგი ახალგაზრდობის 4 ათასი დელეგატი ეწევა ახალგაზრდობისა და სტუდენტების ბერლინის მე-3 მსოფლიო ფესტივალიდან დაბრუნების შემდეგ. დელეგატები ინკორიშს აბარებენ ფესტივალის შესახებ ახალგაზრდობამ გააძლიერა მოშაობა მშვიდობის დაცვის კომიტეტებში.

განსაკუთრებული ყურადღება, განაცხადა ლეი ბაიომ, ექცევა მშვიდობისათვის და ახალგაზრდობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში ფრანგი ახალგაზრდობის მოქმედების ერთიანობის გაფართოების საკითხს.

დასასრულ ლეი ბაიომ აღნიშნა, რომ ახალგაზრდობის უფლებათა დასაცავად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით საფრანგეთში მთელი მოსამზადებელი მოშაობა იწარმოებს მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის გაძლიერებასთან ერთად.

ამერიკაში მონაწილეობა მიიღეს ეირეთი მ. დელანმ (ჩიკაგანეთი), ჯარლოსმა (ჩეკიკა), უილიამსმა (ავსტრალია), ვაგნერმა (დანია), დუგლასმა (ამერიკის შეერთებული შტატები).

ირანის მთავრობის ნოტა ინგლისის მთავრობისადმი

თეირანი, 22 იანვარი. (საკადესი). გამოქვეყნდა ტექსტი ნოტისა, რომელიც 20 იანვარს ირანმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯაზემმ ინგლისის ელჩ შეპერდს გადასცა პასუხად მისი პროტესტისა ირანის მთავრობის მოთხოვნის წინააღმდეგ ირანში ინგლისის ყველა საკონსულო დახურვის შესახებ. თავის ნოტაში ირანის მთავრობა უარყოფს ინგლისის პროტესტს ყველა „არგუმენტს" და დამოწმებას და ადასტურებს, რომ „გადაწყვეტილება საკონსულოების დახურვის შესახებ 21 იანვრამდე უნდა შესრულდეს".

ნოტაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ეს ღონისძიება არ ეწინააღმდეგება არსებულ ხელშეკრულებებს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ინგლისის პროტესტში 1857 წლის ხელშეკრულების დამოწმებასთან დაკავშირებით ნოტაში ნათქვამია, რომ ამჟამად საჭირო არ არის გაკეთებულ იქნას რაიმე განცხადება ამ ხელშეკრულების შესახებ, „რომელიც ირანის მთავრობასა და ხალხს თავს მოახვიეს სამწუხარო მოვლენათა შედეგად", რამდენადაც 100 წლის მანძილზე მთელ მსოფლიოში მოხდა დიდი ცვლილებანი, შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და დიდი ახალი კოლექტიური ხელშეკრულებანი, რომლებიც „ადგილს აღარ ტოვებენ ასეთ ხელშეკრულებათა გამოსაყენებლად, რომლებიც დადებულია 100 წლის წინათ და რომლებიც არ შეეფერება საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე პრინციპებს".

სასარგებლო წიგნი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა გამოსცა დამსახურებული მასწავლებლის ვარლამ ძიძიგურის წიგნი „ქართული ენის სწავლება დაწყებით სკოლაში" (მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა).

ავტორს წიგნის შედგენის დროს გამოუყენია ქართულ და რუსულ ენებზე არსებული სათანადო მეთოდიკური ლიტერატურა, ჩვენი სკოლის მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება და საკუთარი ცოდნა-დაკვირვებანი.

ვ. ძიძიგურის წიგნის მთავარი დანიშნულებაა დახმარება გაუწიოს დაწყებითი სკოლის ქართული ენის მასწავლებლებს. იგი ერთგვარ სამსახურს გაუწევს აგრეთვე ახალგაზრდებს, რომლებიც პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ემზადებიან.

ვ. ძიძიგურის წიგნი „ქართული ენის სწავლება დაწყებით სკოლაში" ხუთი თავისაგან შედგება. პირველ თავში განხილულია ანბანის სწავლების მეთოდები (სინთეზური, ანალიზური, ანალიზურ-სინთეზური).

მეორე თავში — ანბანის სწავლება ანალიზურ-სინთეზური მეთოდით (წინასაანბანო პერიოდი, ბგერა — ასოებისა და კითხვა-წერის სწავლება, ანბანის შემდგომი პერიოდი). საკითხების ზოგად მითითება-გაშუქებასთან ერთად ავტორი იძლევა გადასაცემი გაკვეთილების საორიენტაციო სქემებს, გეგმებს, კონსპექტებს.

მესამე თავშია წერის კულტურის გამომუშავება (კალიგრაფია, ორთოგრაფია, წერითი ნამუშევრების გასწორება), გზადაგზა მოცემულია გაკვეთილების საორიენტაციო კონსპექტები.

მეოთხე თავში განხილულია კითხვის ტექნიკის დაუფლება და ზეპირი მეტყველების განვითარების ჯგუფი (სალექსიკონო და ფრაზეოლოგიური მუშაობა, კითხვის ტექნიკის კამამუშავება, ახსნითი კითხვა, გაკვეთილების სქემამითითება, გეგმა, კონსპექტი I, II, III და IV კლასებში, კლასგარეშე კითხვა).

მეხუთე თავი ემსახურება გრამატიკისა და პუნქტუაციის სწავლებას. საორიენტაციოდ მოცემულია კონსპექტი გაკვეთილისა, რომელშიც ჩაქსოვილია გრამატიკის, მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხებიც.

წიგნი დაწერილია სადა, სუფთა ქართული ენით და ინტერესით იკითხება. წიგნის რედაქტორებია გ. ნიორაძე და ლ. კვაჭაძე. ტირაჟი 5.000, ფასი 15 მან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხის განხილვა პოლიტიკურ კომიტეტში

ი. ა. მალიკის სიტყვა

პარიზი, 21 იანვარი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხის განხილვა.

ამ საკითხში საბჭოთა კავშირის პოზიციის ჩამოყალიბებისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ი. ა. მალიკმა. მან დაასურათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წევრთა მიღების პირობები და წესი, რომლებიც გათვალისწინებულია ორგანიზაციის წესდებით, და ცხადყო, რომ მრავალი წინადადება, რომლებიც მთელ რიგ სესიებზე შემოჰქონდათ წესდებით დადგენილი ამ წესის მოწინააღმდეგეებს, მიზნად ისახავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაეყვანათ ინგლის-ამერიკის ბლოკისათვის სასურველი სახელმწიფოთა მხოლოდ ერთი ჯგუფი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კარი დაეხშოთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინაშე, რომლებიც მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ პოლიტიკას ანხორციელებენ და სრული უფლება აქვთ მიღებულ იქნან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მალიკმა გააკრიტიკა განსახილველ საკითხზე რეზოლუციის პროექტი, რომელიც პერუს დელეგაციამ შეიტანა, და ცხადყო, რომ რეზოლუციის პროექტით გათვალისწინებული წინადადებანი სრულიად უსაფუძვლო და მიუღებელია.

— ასეთ წინადადებათა მიღება, — თქვა სსრ კავშირის დელეგატმა, — მხოლოდ გაართულებდა და არევდა ახალ წევრთა მიღების საკითხს, გამოიწვევდა სახელმწიფოთა ურთიერთობის გართულებას, კიდევ უფრო გაამწვავებდა საერთაშორისო ურთიერთობას.

ხელმძღვანელობა რა წესებით და ესენაგის რა იმას, რომ ცამეტივე სახელმწიფო, რომლებმაც წინათ შემოიტანეს განცხადებანი მიღების შესახებ, აგრეთვე ლიბია, რომელმაც განცხადება მიღების შესახებ ამას წინათ შემოიტანა, დაუყოვნებლივ მიღებულ იქნან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად, — თქვა მალიკმა, — სსრ კავშირის დელეგაციას საბჭოთა მთავრობის დავალებით შემოაქვს რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

„გენერალური ასამბლეა რჩევას აძლევს უშიშროების საბჭოს გადასინჯოს ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთის, იტალიის, პორტუგალიის, ირლანდიის, ტრანსიორდანიის, ავსტრიის, ცეილონისა და ნეპალის განცხადებანი, აგრეთვე განიხილოს ლიბიის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ“.

დასასრულ მალიკმა საბჭოთა კავშირის დელეგაციის სახელით ყველა დელეგაციას მოუწოდა ბოლო მოეღოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასთან შეუთავსებელ პოლიტიკას — ზოგიერთი სახელმწიფოს დისკრიმინაციის პოლიტიკას და ზოგიერთი სახელმწიფოსადმი ფავორიტიზმის პოლიტიკას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების დროს, — პოლიტიკას, რომელმაც ეს საკითხი ჩიხში მოიმწყვდია, — და მიიღოს საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუცია.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო კუბის წარმომადგენელმა. მისი სიტყვა წარმოადგენდა ამაო ცდას — გამოენახა ახალი საძრომები წესდების იმ დებულებათა გვერდის ასავლელად, რომლებიც განსაზღვრავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების პირობებსა და წესს, და ამ საკითხში უშიშროების საბჭოს უფლებათა და რწმუნებათა შესაცვლელად. მან გაილაშქრა უშიშროების საბჭოში ერთმხრივობის პრინციპის წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ამერიკა-ინგლისის ბლოკის სხვა ქვეყნებს ხელს უშლის თავს მოახვიონ საბჭოს თავიანთი ნება. შემდეგ კუბელმა დაიწყო წესდების წალმაუყუმლა „განმარტება“ და ისიც კი თქვა, რომ ახალი წევრების მიღების საკითხი თითქოს არც პოლიტიკური, არც დიდმნიშვნელოვანი საკითხია, არამედ იგი ეკუთვნის საპროცედურო საკითხებს, რომელთა გადაწყვეტის დროს უშიშროებას საბჭოში ერთმხრივობის პრინციპი არ უნდა გამოვიყენოთო.

შეერთებული შტატების ისეთმა მონურად მომხრე დელეგატებმაც კი, როგორიც არიან ბელგიისა და ჩილის დელეგატები, აგრეთვე ბერმინდანელმა შესაძლებლად ვერ მიიჩნიეს მიმხრობოდნენ წესდების დებულებათა ესოდენ უხეშ დამახინჯებას.

ჩილის დელეგატი თავის გრძელ და შეტად აბნეულ სიტყვაში იძულებული ვახდა ეღიარებინა, თუმცა შენიღბულად, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია წესდების ემყარება და რომ ამას ანგარიში უნდა გაეწიოს, სანამ არსებობს წესდების ახალანდელი რედაქცია. მან განაცხადა, რომ პერუს დელეგაციის მიერ შემოტანილი რეზოლუცია გენერალურ ასამბლეას ვერ გამოიყენებს ჩიხიდან ახალი წევრების მიღების საკითხში.

ბელგიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი მხარს დაუჭერს პერუს რეზოლუციის პროექტს, მაგრამ მთელი რიგი შენიშვნებით, რადგან ეს პროექტი არ იძლევა ახალი წევრების მიღების საკითხში შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს.

დღევანდელ სხდომაზე უკანასკნელმა ილაპარაკა ეგვიპტის დელეგატმა. იგი ამტკიცებდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება მოითხოვს, რომ ეს ორგანიზაცია უნივერსალური იყოს, ე. ი. აერთიანებდეს ყველა სახელმწიფოს, რომლებიც მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას ახორციელებენ და წესდებით გათვალისწინებულ ყველა სხვა მოთხოვნას აკმაყოფილებენ. ჩვენ, თქვა ეგვიპტის დელეგატმა, მეტისმეტად სასტაკნი არ უნდა ვიყოთ წესდების მოთხოვნათა იმ სახელმწიფოებისადმი შეფარდებაში, რომლებმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განცხადება შემოიტანეს, და უნდა მივიღოთ თოთხმეტივე ქვეყანა.

დისკუსია გაგრძელდება 22 იანვრის დილის სხდომაზე.

ეკონომიურ და ფინანსურ საკითხთა კომიტეტში

პარიზი, 21 იანვარი. (საკუთარი სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ეკონომიურ და ფინანსურ საკითხთა კომიტეტმა დაამთავრა მსოფლიოს ეკონომიური მდგომარეობის საკითხთან დაკავშირებით შემოტანილი რეზოლუციების პროექტთა განხილვა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩილის რეზოლუციის პროექტის გარდა, რომელიც როგორც უკვე ვიუწყებოდით, მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის შესწორებით, კენჭი ეყარეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის რეზოლუციის პროექტს, რომელშიც აღნიშნული იყო ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღების დამლუპველი შედეგები და რომელიც აგრეთვე მოითხოვდა, რომ გენერალურმა ასამბლეამ რჩევა მისცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს განაზრიციელონ სასწრაფო ღონისძიებანი მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

ჩეხოსლოვაკიის რეზოლუციის პროექტს მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის, უკრაინის, ბელორუსიისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა. პოლონეთის წარმომადგენელმა კაც-სუხიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი ეკონომიური საქმიანობა ამ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ შეუერთდნენ მარშალის გეგმას, ხოლო შემდეგ ატლანტიკის ბლოკს, ექვემდებარება იმას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მათმა მოკავშირეებმა აგრესია მოამზადონ საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელ ხანს დასავლეთ ევროპას სახელმწიფოებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკის მილიტარიზაციის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა. იგი ამით გამოიხატება, რომ სულ უფრო მნიშვნელოვანი რესურსები ხმარდება ისეთი საჭიროების წარმოებას, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს მოსახლეობისათვის. სულ მეტი ფული იხარჯება შეიარაღების საწარმოებლად, რაც ამ სახელმწიფოებს უკარგავს საშუალებას უზრუნველყონ კაპიტალდაბანდება რაიმე დარგში, რომელიც დაკავშირებული არ არის შეიარაღებულ წარმოებასთან.

კაც-სუხიმ ცხადყო, რომ გამალებული შეიარაღება აქვეითებს მშრომელი მასების ცხოვრების დონეს და რომ ეს მასები იბრძვიან თავიანთი არსებობის პირობების გაუმჯობესებისათვის. დასავლეთ ევროპის მშრომელი მასები, თქვა მან, წინააღმდეგობას უწევენ გამალებულ შეიარაღებას, რადგან ისინი დარწმუნდნენ, რომ ყბადაღებული მარშალის გეგმა მიმართულია არა დასავლეთ ევროპის ქვეყნების აღდგენისაკენ, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ამ ქვეყნების სრული დამორჩილების. აგრესიულ ატლანტიკის ბლოკში მათი შეყვანისა და ახალი ომის გაჩაღებისაკენ. პოლონეთის დელეგაციას მიაჩნია, რომ ჩეხოსლოვაკიის რეზოლუციის პროექტი სრული მხარდაჭერის ღირსია, რადგან ეს პროექტი ასახავს მთელ რიგ ქვეყნებში ეკონომიური მდგომარეობის საერთო გაუარესებას და მოითხოვს კონკრეტულ ღონისძიებებს მშრომელი მასების არსებობის პირობების გასაუმჯობესებლად.

საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა გოლაშვრეს ჩეხოსლოვაკიის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, განავითარეს რა ამერიკის თეზისი, რომ გამალებული შეიარაღება თითქოს საჭირო იყოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი სატელიტების „თავდაცვისათვის“, თუმცა ყველასთვის საკმაოდ ნათელია, რომ „თავდაცვის“ საბაბს ამერიკელი მოღვაწეები მხოლოდ იმისათვის იყენებენ, რომ დაფარონ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მილიტარისტული პოლიტიკა. ბევრი სუსტადგანვითარებული ქვეყნის დელეგაციებმა, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენისა, რაკი ვერ გაბედეს აშკარად დაეფარათ მხარი ჩეხოსლოვაკიის რეზოლუციის პროექტისათვის, თავი შეიკავეს კენჭისყრაში. ამრიგად, რეზოლუციის პროექტი უარყოფილ იქნა სულ 15 ხმით. 20 დელეგაციამ, რომლებიც ომთავრესად სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენენ, კენჭისყრაში თავი შეიკავა. რეზოლუციის პროექტს ხმა მისცა 7 დელეგაციამ (სსრ კავშირმა, უკრაინამ, ბელორუსიამ, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, ეკვადორმა და გვატემალამ).

ა. ი. ვიშინსკი პარიზიდან გამოემგზავრა

პარიზი, 22 იანვარი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს საღამოს პარიზიდან მოსკოვს გაემგზავრა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი.

ა. ი. ვიშინსკი ვაგზალზე გააცილეს: სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ი. ა. მალიკმა, საბჭოთა დელეგაციის წევრებმა, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციების მეთაურებმა და წევრებმა, სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ა. პ. პავლოვმა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს წარმომადგენელმა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, საბჭოთა დელეგაციის და უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციების თანამშრომლებმა, აგრეთვე საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა.

ეგვიპტელი ხალხის მხარდასაჭერად

ბეირუთი, 22 იანვარი. (საკუთარი). როგორც სირიული გაზეთი „ალეფ-ბა“ იუწყება, ქალაქ ჰომსში (სირია) ამ დღეებში გაიმართა ქალაქის მოსახლეობის ხალხმრავალი მიტინგი. ამ დემონსტრაციაში მონაწილეობდა აგრეთვე ბევრი სტუდენტი. დემონსტრაცია მოეწყო ნიშნად ეგვიპტელი ხალხისათვის მხარდაჭერისა იმ ბრძოლაში, რასაც იგი ეგვიპტეში ინგლისელთა ბარბაროსული მოქმედების წინააღმდეგ ეწევა. მიტინგზე ორატორები მოითხოვდნენ, რომ ეგვიპტეში გაიგზავნონ მოხალისენი ინგლისელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 22 იანვარი. (საკუთარი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამშრომლობით ყველა ფრონტზე განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისსმანელთა ჯარების წინააღმდეგ და ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ნამფხოს, ვონსანისა და ხამხინის რაიონებზე თავდასხმებში.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 22 იანვარი. (საკუთარი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონდან იუწყება:

იმ ქვეკომიტეტის გუშინდელმა სხდომამ, რომელიც კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტს განიხილავს, სულ 10 წუთს გასტანა. მეორე მხარემ კვლავ ცხადყო, რომ მას არა სურს გადაჭრას განსახილველი საკითხი და სხდომის დაწყებისთანავე მოითხოვა შესვენების გამოცხადება.

ჩვენმა დელეგატმა შემდეგი განაცხადა: „მტკიცე დაზავების უზრუნველყოფის მიზნით ჩვენ შემოგვქონდა ყველა შესაძლებელი გონივრული წინადადება, რომელიც მიზანი იყო დღის წესრიგის მე-3 პუნქტის გადაჭრა. შემდგომი ცვლილებანი შეუძლებელია. მსოფლიოს ყოველ მშვიდობისმოყვარე ადამიანს ესმის, რომ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების ძირითად საკითხებში შეთანხმება მიღწეულია. იმ გარემოების მიზანი, რომ თქვენ დაჟინებით იცავთ კორეის საშინაო საქმეებში ჩარევის თქვენს ქედმაღლურ მოთხოვნას — საიერიდამო ნაგებობათა შეზღუდვის მოთხოვნას, სხვა არა არის რა, თუ არა დაზავების შესახებ მოლაპარაკების შეფერხება და ჩაშლა“.

იმ ქვეკომიტეტის სხდომაზე, რომელიც დღის წესრიგის მე-4 პუნქტს განიხილავს, ჩვენმა დელეგატმა დადასტურა ჩვენი მტკიცე და ურყევი პოზიცია. მან განაცხადა: „ჩვენ მტკიცედ ვილაშქრებთ და მუდამ გავილაშქრებთ იმ ზრახვების წინააღმდეგ, რომ დაავკავონ ჩვენი სამხედრო ტყვეები და გადასცენ ისინი ლი სინ მანისა და ჩან კაი-შის ბანდიტებს რა საბაბითაც უნდა იყოს. ჩვენ არასოდეს არ ავიღებთ ხელს ყველა სამხედრო ტყვის უფცალებელი განთავისუფლებისა და რეპატრიაციის პრინციპზე“.

ამერიკელი გენერლების გულახდილი აღიარება

ნიუ-იორკი, 21 იანვარი. (საკუთარი). ამერიკის მე-8 არმიის სარდალი გენერალმა ვან ფლიტმა აღიარა, რომ კორეის ინტერვენცია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს ესაჭიროებათ გამალებული შეიარაღების გასაჩაღებლად და ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარიზაციის გასაძლიერებლად. როგორც თუნაუტედ პრესის საგენტო გადმოგვცემს, მან კორეაში წარმოებულ ომს „ღვთის წყალობა“ უწოდა და განაცხადა: „კორეის ამბები საჭირო იყო იმისათვის, რომ ჩვენს თავდაცვას სათანადო ფორმა მისცემოდა. ამკამად ჩვენი ქარხნები სულ უფრო მეტ იარაღს ამზადებენ“.

გაიმეორა რა მკვეხარა მტკიცება კორეაში ამერიკელთა ძალების შესახებ, ვან ფლიტმა უარი თქვა ეპასუხნა იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტის შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, რომ კორეაში მალე მოხდეს დაზავება. ვან ფლიტმა მოიმიზეზა, რომ თითქოს იგი „არ იცნობს საქმის მდგომარეობას“ და „არ იცნობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გეგმებს“.

ვან ფლიტს განცხადება ადასტურებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები სრულიადაც არ ცდილობენ დაზავების ჩაშოგდებას და დაინტერესებული არიან კორეაში ომის განგრძობით.

ჟურნალმა „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების სარდლობის მეორე წარმომადგენელთან, კორეის მოლაპარაკებაში ამერიკის დელეგაციის მეთაურ ვიცე-ადმირალ ჯოისთან. ამ ინტერვიუში ჯოიმ განაცხადა, რომ იგი იძულებულია აღგარაში გაუწიოს „არსებულ მდგომარეობას, რომელსაც ამჟამად სამხედრო ჩიხი ახასიათებს“. „თუ სამხედრო მდგომარეობა არ შეიცვალა, — დასძინა ჯოიმ,— კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ეფექტიან მტკიცე დაზავებას მივაღწიოთ“.

ჯოის ეს განცხადება გვიჩვენებს, რომ ამერიკის სარდლობა ცდილობს დაზავების შესახებ მოლაპარაკება მხოლოდ იმისათვის გამოიყენოს, რომ შეიცვალოს ფრონტზე სამხედრო მდგომარეობა, რომელიც, როგორც ცნობილია, ინტერვენტების სასარგებლო არ არის.

სისხლიანი ამბები ჟენისში

პარიზი, 22 იანვარი. (საკუთარი). პარიზის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს ტუნისის ამბებს. დილის გაზეთები იუწყებიან, რომ ტუნისელი ახალგაზრდობის გუშინდელი დემონსტრაციას დროს საფრანგეთის გენერალური რეზიდენტის სასახლის წინ პოლიციამ ატეხა სროლა, რის შედეგადაც მოკლულ იქნა ორი დემონსტრანტი. ქალაქ ნაბელში პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს, რომლებიც გუბერნატორის შენობასთან შეიკრიბნენ. მოკლულ იქნა სამი კაცი, 20 კაცი დაიჭრა, რომელთაგან ხუთი ძლიერ მძიმე მდგომარეობაშია.

გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ სფაქსში საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ყველა გზა, რათა არაბი მოსახლეობა არ შეუშვას ეგრეთწოდებულ „ევროპულ ქალაქში“ (ევროპელებით დასახლებული სფაქსის რაიონი). მაგრამ გუშინ დღისით ათასზე მეტი მცხოვრები ქალაქის არაბული ნაწილიდან გავიდა, გაარღვია ყველა დაბრკოლება და კორდონი, გუბერნატორის შენობისაკენ გაეჭრა და გადასცა პეტიცია, სადაც მოთხოვნილია ტუნისისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება.

გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ტუნისელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის მხარს უჭერენ საფრანგეთისა და ალჟირის დემოკრატიული ორგანიზაციები და მშრომელები.

ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული პარტიის ეროვნულ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 22 იანვარი. (საკუთარი). გასული კვირის დამლევს გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის ორდღიანი თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა კაცმა. თათბირი მოწვეულ იქნა წინასაარჩევნო კამპანიის მოწყობის და მშვიდობისათვის ბრძოლის გაძლიერების გეგმების შემუშავების მიზნით. თათბირზე არჩეულ იქნა სპეციალური კომიტეტი მინეზოტის შტატის ყოფილი გუბერნატორის ბენსონის თავმჯდომარეობით. ამ კომიტეტმა უნდა დაასახელოს პროგრესული პარტიის კანდიდატები პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტებზე.

თათბირმა მოიწონა მთელი რიგი რეზოლუციები, რომლებშიც პირველი ადგილი ეთმობა მშვიდობისათვის ბრძოლას.

პარტიის პოზიცია ასახულია პროგრამაში, რომელიც შედგება ოთხი პუნქტისაგან: 1) კორეაში ომის შეწყვეტა; ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მხარი უნდა დაუჭირონ დიდ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების განხორციელებას გადაუწყვეტელ უთანხმოებათა მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით. 2) მშვიდობიანი დროის ეკონომიკის აღდგენა; შეიარაღების ხარჯების მკვეთრი შემცირება; ფასების და მოგების ნამდვილი კონტროლის შემოღება; ხელფასის ერთ დონეზე გაყინვის შეწყვეტა და ბიუჯეტით საკმაო სახსრების გაღება სოციალური უზრუნველყოფისათვის. 3) ზანგი ხალხისათვის სრული თანასწორუფლებიანობის მინიჭება; კანონით ყველა სამოქალაქო უფლების უზრუნველყოფა. 4) ყველა რეაქციული კანონის გაუქმება და უფლებათა ბილის აღდგენა.

პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის მიერ პრესისათვის გადაცემულ განცხადებაში ნათქვამია:

„აშკარა ხდება დიდი უკმაყოფილება საგარეო პოლიტიკით, რომელიც ეწინააღმდეგება კორეაში უაზრო ომის შეწყვეტას, იმუქრება ინდო-ჩინეთში ომის ახალი პროვოკაციებით; ითვალისწინებს გერმანიისა და იაპონიის ხელახალ შეიარაღებას, იწვევს ფრანკოსთან კავშირს, მოითხოვს სულ უფრო მეტი მილიარდების ასიგნებას იმ მოკავშირეთა შეიარაღებისათვის, რომლებიც უხალისოდ ეთანხმებიან ამას, და უარყოფს მშვიდობისაკენ მიმავალ ყოველ გზას.

იზრდება ოპოზიცია საშინაო პოლიტიკისადმი, რომელიც ემყარება მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღების წარმოების ხარჯებს, რამაც გამოიწვია უმუშევრობა, ხელფასის ერთ დონეზე გაყინვა, ფასების ინფლაციური ზრდა, გადასახადების გადიდება და ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა ისე, რომ არ არსებობს მომავლის არავითარი პერსპექტივა, ომისა თუ დეპრესიის პერსპექტივის გარდა.

ეიზენჰაუერის კანდიდატურა და დემოკრატიულ პარტიაში იმავე ელემენტების ბატონობა, რომლებიც მას მხარს უჭერენ, არწმუნებს ბევრ იმითაც, ვისაც როზველტის პარტიაში ლიბერალიზმის აღორძინების იმედი ჰქონდა, რომ ამას ერთადერთი პასუხი დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედება. ამრიგად, მწიფდება მშვიდობისათვის ბრძოლაში პოლიტიკურად დამოუკიდებელ პირთა ფართო კოალიციის შექმნის პირობები“.

ეროვნულმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს დაიწყოს საყოველთაო კამპანია, რათა შეაგროვოს ხელმოწერა პეტიციაზე, რომელიც მოითხოვს მოწვეულ იქნას დიდ სახელმწიფოთა თათბირი გადაუწყვეტელ საკითხთა მოსაწესრიგებლად.

კომიტეტმა გაავრცელა ამერიკელი ხალხი, რომ ტრუმენ-ჩერჩილის შეთანხმების საფუძველზე ინდო-ჩინეთში მზადდება ახალი საშიში ავანტიურები იმ შეთქმულების შესაბამისად, რომლის მიზანია ჩინეთში ჩან კაი-შის ხელისუფლების აღდგენა. ამ თვალსაზრისით ეროვნულ კომიტეტს მოჰყავს განცხადება გენერალ ვან ფლიტისა, რომელმაც კორეის ომს „კეთილი“ უწოდა. ეროვნული კომიტეტი აღნიშნავს, რომ ვან ფლიტმა „წამოროზა“, როცა განაცხადა, რომ ეს ომი უნდა მომზდარიყო ან კორეაში ან კიდევ სადმე სხვაგან მსოფლიოში.

როგორც კომიტეტი აღნიშნავს, ერთადერთი, რაც ხელს უწყობს კორეაში ომის განგრძობას, ის არის, რომ „ორივე პარტიას — რესპუბლიკურსა და დემოკრატიულ პარტიებს არ შეუძლიათ თავიდან აიცილონ დეპრესია, თუ არ გაადიდეს შეიარაღების წარმოება, ეს კი ძირს უთხრის მთელი მსოფლიოს ხალხთა საარსებო დონეს“.

კომიტეტი მოითხოვს აღდგენილ იქნას მშვიდობიანი დროის ეკონომიკა და აყენებს პროგრამას: „სამუშაოთი უზრუნველყოფა ნაცვლად ეკონომიკისა, რომელიც ემყარება დამლუპველ პრინციპს — შეიარაღების წარმოების პრინციპს; 2 მილიონი სახლის ყოველწლიური მშენებლობა; 1 მილიარდი დოლარის ყოველწლიური ასიგნება სკოლებისათვის და ხელფასის გადიდება მასწავლებელთათვის; სოციალური უზრუნველყოფის გაფართოება, ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, წვრილი ფერმერების ინტერესების დაცვა და ცალკეული რაიონების განვითარების გაძლიერება“.

მოითხოვა რა სრული თანასწორუფლებიანობა ზანგი ხალხისათვის და კანონით მისთვის სამოქალაქო უფლებათა მინიჭება, ეროვნულმა კომიტეტმა თავისი გულისწყრომა გამოთქვა ამის გამო, რომ იუსტიციის სამინისტრომ არ დაიპატიჟა ზანგთა ლიდერის ჰარი მურისა და მისი მეუღლის მკვლელები, და მოითხოვა შეიქმნას სპეციალური კომისია ფლორიდაში გამეფებული ტერორის გამოსაკვლევად.

თათბირზე ძირითადი მოხსენება გააკეთა პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის მდივანმა ბოლდუინმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა განხორციელდეს პროგრესული პარტიის მტკიცე წინასაარჩევნო კამპანია, და აღნიშნა, რომ დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების პროგრამები მშვიდობის პროგრამებს არ წარმოადგენენ.

ამერიკა-ინგლისის ბლოკი

თბილისის პირველობა ჭადრაკში

ბ. ბ. ბოლესლავსკი

მეორე ტურში, რომელიც 22 იანვარს შედგა, ოსტატმა ა. ებრალიძემ ო. წოწოლაშვილის არჩეული ძველი ინდური დაცვა საწინააღმდეგოდ გაითამაშა თავისი სისტემა. კრიზისულ მომენტში ა. ებრალიძემ ხელთ იგდო ინიციატივა და აიძულა მოწინააღმდეგე 35-ე სვლაზე დანებებულიყო.

ა. ბუსლაევმა ნ. ტიმოფეევთან განავითარა მძაფრი შეტევა. 26-ე სვლაზე მან პარტია მოიგო.

ა. ჯაკობიამ დებიუტიდან უკეთესი მდგომარეობა მიიღო ა. აღამალიანთან, ლაზიერისა და კუს მანევრირებით შავი მეფე საშამათო ქსელში გაიბა და 38-ე სვლაზე პარტია მოიგო.

აღსანიშნავია ო. ელიოზაშვილის გამარჯვება ა. ბლაგიძეზე. ნიმცოვიჩის დაცვაში ა ბლაგიძემ პასიური მდგომარეობა მიიღო. ო. ელიოზაშვილმა მეფის ფლანგის ეტლის პაიკის წინსვლით შექმნა მრავალი სასუსტე შავების განლაგებაში. ცენტრში დარჩენილი შავი მეფე მალე შეტევის ობიექტად იქცა. ო. ელიოზაშვილმა სწორად განახორციელა ინიციატივა ინიციატივა და ოსტატ-ოსტატ

ბაკურიანი ბალნეოლოგიური

მეორე ტურში, რომელიც 22 იანვარს შედგა, ოსტატმა ა. ებრალიძემ ო. წოწოლაშვილის არჩეული ძველი ინდური დაცვის საწინააღმდეგოდ გაითამაშა თავისი სისტემა. კრიზისულ მომენტში ა. ებრალიძემ ხელთ იგდო ინიციატივა და აიძულა მოწინააღმდეგე 35-ე სვლაზე დანებებულიყო.

ა. ბუსლაევმა ნ. ტიმოფეევთან განავითარა მძაფრი შეტევა. 26-ე სვლაზე მან პარტია მოიგო.

ა. ჯაკობიამ დებიუტიდან უკეთესი მდგომარეობა მიიღო ა. აღამალიანთან, ლაზიერისა და კუს მანევრირებით შავი მეფე საშამათო ქსელში გაიბა და 38-ე სვლაზე პარტია მოიგო.

აღსანიშნავია ო. ელიოზაშვილის გამარჯვება ა. ბლაგიძეზე. ნიმცოვიჩის დაცვაში ა ბლაგიძემ პასიური მდგომარეობა მიიღო. ო. ელიოზაშვილმა მეფის ფლანგის ეტლის პაიკის წინსვლით შექმნა მრავალი სასუსტე შავების განლაგებაში. ცენტრში დარჩენილი შავი მეფე მალე შეტევის ობიექტად იქცა. ო. ელიოზაშვილმა სწორად განახორციელა ინიციატივა ინიციატივა და პარტია.

ბ. ბაჩეზერ-ა. ბ. ბ. ბოლესლავსკი, ბ. ბ. ბ.